ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

Corpus Juris, წიგნი I, სამართალმცოდნეობის საკითხები, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2015

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

Corpus Juris

წიგნი I

სამართალმცოდნეობის საკითხები

დამხმარე მასალები სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის,
შედგენილი დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის სტაჟიორების მიერ

დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით

თბილისი

2015

UDC(უაკ)34.01
C-81

„Corpus Juris, წიგნი I, სამართალმცოდნეობის საკითხები“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, სტაჟიორების მიერ მომზადებული ნაშრომები კრებულია. გამოცემის მიზანია, დაეხმაროს სამართლის მიმართულების სტუდენტებს სამართლის თეორიისა და სამართალმცოდნეობის საკითხების შესწავლაში.

Corpus Juris სამომავლოდაც გამოიცემა და მოიცავს სამართლის სხვადასხვა დარგის საინტერესო საკითხებს. გამოცემათა სერია ბევრ დამწყებ იურისტსა და სამართლის მიმართულების სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, გამოავლინონ წერითი უნარები.

გამოცემა თანაბრად საინტერესო იქნება როგორც იურისტების, ისე ნებისმიერი სხვა პირისათვის, რომელიც დაინტერესებულია სამართლის საფუძვლებითა და სამართლის თეორიის საკითხებით.

სამეცნიერო რედაქტორი: დიმიტრი გეგენავა

გამოცემა შედგენილია გვანცა გაგნიძის, მარიამ გრიგალაშვილის, გვანცა ხარებავას, ნატა კაპანაძისა და თათია ჯორბენაძის ნაშრომებით.

გვანცა გაგნიძე – თავი I/§2; თავი II/§1,§3
მარიამ გრიგალაშვილი – თავი I/§3,§6; თავი III/§1,§6
გვანცა ხარებავა – თავი I/§4,§5; თავი III/§6
ნატა კაპანაძე – თავი I/§1; თავი II/§2; თავი III/§4
თათია ჯორბენაძე – თავი III/§2,§3

© ავტორები, 2015

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2015

ISBN 978-9941-0-7655-8 (ყველა წიგნის)
ISBN 978-9941-0-7656-5 (პირველი წიგნის)

შინაარსი

წინათქმა 5

თავი I. სამართლის ცნება 7

§1. არსი და ჯერარსი 7

§2. ლეგალურობა და ლეგიტიმურობა 10

§3. ჯონ ოსტინი და პოზიტივიზმი 14

§4. ჰანს კელზენი და სამართლის წმინდა თეორია 17

I. შესავალი 17

II. სამართლის გამიჯვნა სხვა ფაქტორებისაგან 17

III. სამართალის წმინდა თეორია და ბუნებითი სამართალი 19

IV. ძირითადი ნორმის არსი 20

V. მონისტური მოძღვრება 21

VI. სამართლის წმინდა თეორიის კრიტიკა 22

VII. დასკვნა 23

§5. ბუნებითი სამართალი 24

I. შესავალი 24

II. ბუნებითი სამართლის სახეები 25

III. ბუნებითი სამართლის პრაქტიკული მნიშვნელობა 27

§6. რადბრუხის ფორმულა 29

თავი II. სახელმწიფო ხელისუფლება და სამართალი ... 32

§1. ლეონ დიუგი და ხელისუფლების ბოჭვა 32

§2. წინააღმდეგობის უფლება 37

§3. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა 40

თავი III. სამართლიანობა 46

§1. სამართლიანობის სახები 46

§2. განაწილებითი სამართლიანობა 49
§3. გათანაბრებითი სამართლიანობა 53
§4. უტილიტარიზმი 56
§5. სამართლის ეკონომიკური ანალიზი 58
§6. როულზის სამართლიანობის თეორია 61

წინათქმა

Corpus Juris დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მრავალწიგნიანი გამოცემაა, რომლის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს სამართლის სხვადასხვა დარგისა თუ დისციპლინის ათვისებაში. სერიის გაკეთების იდეა ინსტიტუტის სტაჟირების პროგრამიდან მომდინარეობს. სტაჟირების პროგრამაში ჩართული სტუდენტები ასრულებდნენ სხვადასხვა დავალებას, ამუშავებდნენ საინტერესო თემებს, რამაც, საბოლოო ჯამში, თავი ამ მცირე გამოცემაში მოიყარა.

ნებისმიერი ნაშრომი, რომელიც ქართულ ენაზე სამართალში იქმნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული სამართლის განვითარების საკმაოდ გრძელ და რთულ გზაზე. არცერთი ნაშრომი დასაკარგი არაა, მით უმეტეს, თუ საქმე სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის გამარტივებასა და ახალი მასალის შემუშავებას ეხება. ყველაზე მეტად სწორედ სტუდენტს ესმის ის პრობლემა, რომელიც მასალის ათვისებისას იქმნება, ამიტომაც გასაგები და მარტივი ენით დაწერილი ლიტერატურა ყველაზე ეფექტურია სასწავლო პროცესში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია გვანცა გაგნიძის, მარიამ გრიგალაშვილის, თათია ჯორბენაძის, ნატა კაპანაძისა და გვანცა ხარებავას ესსეები სამართლის თეორიის, სამართალმცოდნეობის სხვადასხვა საინტერესო საკითხზე. მიუხედავად მათი ასაკისა და გამოცდილების ნაკლებობისა, თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია და ძალზე სასარგებლო ნაშრომები შექმნა.

Corpus Juris სერიის წიგნები მომავალშიც გამოიცემა და სამართლის სხვადასხვა დარგის პრობლემურ საკითხებს დაეთმობა. მასში კვლავაც თავს მოიყრის სტუდენტთა ნაშრომები. მოხარული ვიქნები, თუ კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება ამ იდეით და ქართული სამართლებრივი ლიტერატურა გამდიდრდება.

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი გზას უხსნის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რათა მან მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი და აკადემიური უნარები ქართული სამართლის განვითარებას მოახმაროს.

ვიმედოვნებ, აღნიშნული გამოცემა და ამ სერიის სხვა წიგნებიც მნიშვნელოვნად დაეხმარებიან სტუდენტებსა და სამართლის საფუძვლებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. მკითხველს კი ვთხოვ, ძალზე კრიტიკულად ნუ შეაფასებს ესსეებს, რადგან მათი მთავარი დანიშნულება საბაზისო ინფორმაციის თავმოყრაა და არა პრობლემაზე ორიენტირებული კვლევის წარმოება.

დიმიტრი გეგენავა
დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის დირექტორი,
ასისტენტ-პროფესორი

თბილისი, 2015 წლის თებერვალი

თავი I. სამართლის ცნება

§1. არსი და ჯერარსი

სამართლის თეორიაში გაბატონებულია შეხედულება, რომელიც იურიდიულ ნორმას იმპერატივად მიიჩნევს; იმპერატივი, როგორც ავტორიტეტის ბრძანება, მიმართულია ინდივიდისადმი და მოითხოვს მისგან განსაზღვრულ ქცევას. ეს შეხედულება გულისხმობს, ერთი მხრივ, მბრძანებელ სუბიექტს, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდებს, რომლებიც ამ ბრძანებას ემორჩილებიან. მის თანახმად, ნორმა იმპერატივის სახით ახდენს გავლენას ინდივიდზე, ე.ი. იწვევს მასში ფსიქიკურ აქტს, რომლის საშუალებითაც სამართალი აღწევს თავის პრაქტიკულ მიზანს, ხორციელდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამგვარად, ნორმას მიეწერება მოტივაციური მნიშვნელობა. ეს თეორია გავრცელებულია თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში. ჰანს კელზენი უარყოფს ამ თეორიას, მისი აზრით, იურიდიული ნორმა იმპერატივი არაა, იურიდიული ნორმა არის მსჯელობა, როგორც მსჯელობა, იგი უახლოვდება ბუნებით კანონს, მაგრამ ბუნებითი კანონი გამოხატავს მიზეზობრივ დამოკიდებულებას მოვლენებს შორის, იურიდიული ნორმა კი გამოხატავს ვალდებულებას (Sollen), – ამით უკვე მოცემულია ის ძირითადი თვისება, რომლითაც სამართლის მეცნიერება განსხვავდება ბუნებისმეტყველებისგან. ბუნებისმეტყველებას აინტერესებს ის, რაც არსებობს რეალურ ქვეყანაში; მისი სფეროა არსი (Sein), სამართალი კი არ იკვლევს არსს; იგი ყოველთვის მიმართულია ვალდებულებაზე.[1]

სამართალი ჯერარსული მოვლენაა. სამართალი ადგენს ქცევის სავალდებულო მოდელს, რომლის შესაბამისადაც უნდა მოიქცეს ნორმის ადრესატი.[2] **პოზიტიური ცნების მიხედვით, სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა.** პოზიტიური თეორია ერთმანეთისგან განასხვა-

---

[1] ვაჩეიშვილი ალ., KELSEN-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, მეორე გამოცემა, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 8.

[2] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 39.

ვებს ფაქტს – „ის არის“ (Sein) და სამართალს – „ის უნდა იყოს“ (Sollen).[1]

ბუნებითი კანონის ელემენტები ერთმანეთთან კაუზალურადაა დაკავშირებული, ის კავშირი კი, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ იურიდიულ ნორმაში, სულ სხვა ხასიათისაა. მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმა, ვნახავთ, რომ კავშირი მის ელემენტებს შორის, რომლებსაც ჩვეულებრივ დისპოზიცია და სანქცია ეწოდება, თავისებური ხასიათისაა და ბუნების მიზეზობრივი დამოკიდებულებისაგან არსებითად განსხვავდება. იურიდიული ნორმის კავშირი გამოიხატება სიტყვებით – „უნდა იყოს“ (Sollen);

ბუნებითი კანონი გამოხატავს მხოლოდ იმას, რაც არის, ხოლო იურიდიული ნორმა იმას, რაც უნდა იყოს; პირველი ეკუთვნის რეალობას, ე.ი. ფაქტობრივი სინამდვილის სფეროს, მეორე – იდეალურს. მაშასადამე, ბუნებითი კანონისა და იურიდიული ნორმის საფუძველი სულ სხვადასხვაა; ამ განსხვავებაზეა დამყარებული კაუზალური და ნორმატიული მეთოდების განსხვავებაც, რომელსაც უდიდესი ადგილი უკავია კელზენის თეორიაში.[2] როგორც საზოგადოება ემორჩილება სახელმწიფო კანონს, ისე ბუნებრივი ელემენტები ექვემდებარებიან უზენაეს ძალას.

ბუნებისმეტყველების ამოცანაა ფაქტობრივი პროცესების ახსნა, არსის გამოკვლევა, სხვა დისციპლინები კი იძლევიან ქცევის წესებს, ე.ი. აწესებენ რაიმე ვალდებულებას. პირველი გზით მიღებული წესები ბუნებითი კანონებია, ხოლო მეორე გზით – ნორმები. ამის მიხედვით, სახელწოდება „კანონი“ ბუნებითი კანონის მნიშვნელობით, არის მსჯელობა იმის შესახებ, რაც ფაქტობრივად ხდება ბუნებაში; იგი არის მსჯელობა, რომელშიც გამოთქმულია, რომ ერთი რომელიმე მოვლენა მეორე მოვლენის აუცილებელი შედეგია. ბუნებითი კანონის სფერო არსია, ე.ი. ფაქტობრივი სინამდვილე. ყოველივე ცალკე ბუნებითი კანონი წარმოადგენს ზოგადის კაუზალური კანონის გამოყენების სპეცია-

---

[1] იქვე, 33.

[2] ვაჩეიშვილი ალ., KELSEN-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, მეორე გამოცემა, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 22.

ლურ შემთხვევას. იგი იძლევა ფაქტობრივი სინამდვილის შემეცნებას, მისი მიზანი ფაქტების ახსნაა. სულ სხვაა კანონის მნიშვნელობა, როდესაც ამ სიტყვით ჩვენ ვგულისხმობთ იმ წესებს, რომლებიც არ იძლევიან სინამდვილის ახსნას, არამედ მოითხოვენ განსაზღვრულ ქცევას.[1]

სამართალი, როგორც ჯერარსული მოვლენა, უნდა განვიხილოთ მისი უზოგადესი ბუნების – სამართლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან სამართლის ნორმის პოზიტიურობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მოგვეცა რეალური ბაზა, მისი რეალიზაციის ერთ-ერთი და ერთადერთი, ძირითადი პირობა.

სამართალი (ნორმა) მხოლოდ მაშინ იღებს საგნობრივ შინაარსს, ე.ი. ემთხვევა თავის ბუნებრივ აზრს, როცა იგი უმთავრესად შესაბამისობაშია საზოგადოების განმსაზღვრელი ფენის მიზნებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემული ქცევის ზოგადი წესი ნორმატიული მსჯელობისაგან დამოუკიდებლად დაკარგავს სამართლის შინაარსს, ის ვერ გახდება საყოველთაოდ სავალდებულო და ამდენად, პოზიტიური სამართლის ნორმა, რეალიზაციის გარეშე დარჩება ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ დოქტრინულ დებულებად და მეტი არაფერი.

სამართლის საზრისი თანხვედრაშია სამართლიანობის შინაარსთან, რადგან სამართლის დანიშნულებითი მიმართება მოვლენებისადმი – მოაწესრიგოს ისინი – შეუძლებელი იქნება, თუ იგი გააზრებული და აღიარებული არ იქნება ინდივიდთა უმრავლესობის მიერ, რომელთა იურიდიულად ღირებული ორიენტაცია განსაზღვრავდა სახელმწიფოში მართლწესრიგის დამკვიდრებას. ხოლო ისეთ ქვეყანაში, სადაც მართლწესრიგი არ ფორმირდება, ვერ ვიტყვით, რომ სამართალი მოქმედებს.[2]

---

[1] იქვე, 23.

[2] რიჟამაძე რ., რა არის სამართალი, ჟურნ. „სამართალი“, №6, 2001, 99.

§2. ლეგალურობა და ლეგიტიმურობა

ლეგალურია ის, რაც პოზიტიური სამართლით არის დადგენილი, რაც შეესაბამება სამართალსა და კანონმდებლობას. პოზიტიური სამართალი კი, თავის მხრივ, მოცემული საზოგადოების მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობაა. **ლეგიტიმურად მიიჩნევა ის, რაც შეესაბამება სამართლიანი სამართლის ნორმით დადგენილს.** სამართლიანობა არის ფუნდამენტური ღირებულებების ერთიანობა. სწორედ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ცდილობს განსაზღვროს ფუნდამენტური ღირებულებები, რომელთა მიზანი ლეგიტიმურობის დამკვიდრებაა. მისი სახელწოდების საპირისპიროდ, დეკლარაცია არის არა სამართლის ტექსტი, არამედ მეტასამართლებრივი პრინციპის დეკლარაცია. ბუნდოვანება კი იმაში მდგომარეობს, რომ უნივერსალურობაზე მისი პრეტენზიის მიუხედავად, ეს დეკლარაცია სივრცესა და დროში არსებობს და გადასინჯვას ექვემდებარება.

სამართლის ლეგიტიმურობას სამართლის ნორმის შესრულების სავალდებულოობა განსაზღვრავს და ამასთან, ადამიანთა რწმენა, რომ სამართალი ლეგიტიმური და შესაბამისად, შესასრულებლად სავალდებულოა. მისთვის დამახასიათებელია ფორმალური და მატერიალური ლეგიტიმურობა. **ფორმალური ლეგიტიმურობა სამართლის სათანადო პროცედურებით დადგენას გულისხმობს. მატერიალური ლეგიტიმურობის ცნების თანახმად კი, სამართალი „მართალი", „სწორი" სამართალი უნდა იყოს.**[1]

ლეგიტიმურობასა და ლეგალურობას შორის არსებობს გარკვეული სხვაობა. *ლეგიტიმურია ყველაფერი, რაც დაუწერელ ნორმებს ეფუძნება, ხოლო ლეგალურია ის, რაც დაწერილ ნორმებს შეესაბამება.* მაგალითად, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო უნდა იყოს ლეგიტიმური – მოსახლეობის უმრავლესობის მიერ აღიარებული და სამართლიანი, ამასთანავე, სასურველია, რომ იგი იყოს ლეგალური – კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით შემუშავებული და სანქცირებული. **კანონიერება არის სახელმწიფოსა და მისი ორგანოების,**

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2006, 43.

თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის თანახმადაც, ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ მოქმედი კანონმდებლობა, არავის უნდა შეეძლოს კანონისათვის გვერდის ავლა ან სარგებლობდეს მისი დარღვევის უფლებით, არავითარი თანამდებობრივი მდგომარეობა არ უნდა იძლეოდეს რომელიმე პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს კანონის შეუსრულებლობის შემთხვევაში.[1] აქედან გამომდინარე, ლეგალური ხელისუფლება კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად ხორციელდება. პოლიტოლოგების აზრით, სწორედ ასეთი ხელისუფლება არის ყველაზე სასურველი და ორივე ამ თვისებას – ლეგიტიმურობასა და ლეგალურობას, თავისი მექანიზმი აქვს, რომელთა მოქმედების პირობები აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი დემოკრატიულ კონსტიტუციაში.[2]

როგორც რადბრუხი ამბობს, **სამართალი სამართლიანობისაკენ სწრაფვაა.**[3] სამართლიანობა ნიშნავს პირის განსჯას ყოველგვარი მიკერძოებულობის გარეშე, ყველასათვის ერთნაირი სტანდარტების მისადაგებას.[4] შესაბამისად, *ის რაც ლეგალურია, ანუ დაკანონებულია, უნდა იყოს ლეგიტიმურიც, რათა მივიღოთ სამართლებრივი სახელმწიფო.*

პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ლეგიტიმურობა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ქვეყნის ხელისუფლების ინსტიტუტების მოქმედების მართლზომიერების ცნობას გულისხმობს, არამედ სხვა სახელმწიფოების მიერაც.

მაქს ვებერი ლეგიტიმურობის სამ ტიპს განასხვავებდა: ტრადიციულს, ქარიზმატულსა და ლეგალურს. ტრადიციული ბატონობის შემთხვევაში ძალაუფლება არ არის დამყარებული კანონებსა და ფორმალურ შეზღუდვებზე, მაგალითად, მამის როლი ოჯახში. **ქარიზმატული ბატონობა** დაფუძნებულია ქარიზმატული ლიდერის ავტორიტეტსა და შესაბამისად, უნარზე, დაარწმუნოს თავისი მიმდევრები და მოსწავლეები საკუთარ არაორდინალურ შესაძლებლობებში. რაც შეეხება **ლე-**

---

[1] ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2000, 109.
[2] <http://goo.gl/Cpc8rS> [11.08.2014]
[3] რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012, 248.
[4] იქვე.

გალურობას, ანუ ვებერისეულ კანონიერ-რაციონალურ ბატონობის ტიპს, ის თანამედროვე საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, რადგან ბიუროკრატების ბატონობის მთავარი საყრდენი კანონთა სისტემაა, რომლითაც ხელმძღვანელობენ და რომლის მიხედვითაც მიუკერძოებლად მოქმედებენ. თუკი ისინი პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში არიან და ვერ ბატონობენ, მაგრამ თუკი ძალაუფლებას იგდებენ ხელთ, მაშინ ამას უკანონოდ აკეთებენ.[1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, **ის, რაც ლეგალურია, შეიძლება არ იყოს ლეგიტიმური.** მაგალითად, *რაც უფრო დაბალია ლეგიტიმურობის დონე, მით უფრო ინტენსიურია ხელისუფლების მხრიდან იძულება და შესაძლოა, ეს სრულიად ლეგალურად, ანუ პოზიტიურ სამართალზე დაყრდნობით ხორციელდებოდეს.* მეორე მხრივ, **მაღალი ლეგიტიმურობის მქონე მოვლენა შეიძლება არ იყოს ლეგალური.** მაგალითად, სახელმწიფო გადატრიალება, როგორც მოვლენა, კანონსაწინააღმდეგოა, თუმცა, თუკი ის მოსახლეობის უმრავლესობის ლეგიტიმურ მოთხოვნებს ეფუძნება, ის ვერ იქნება არალეგიტიმური.[2]

ლეგიტიმურ ხელისუფლებას გარკვეული მახასიათებლები აქვს. გარდა იმისა, რომ იგი მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას უნდა ეფუძნებოდეს, სახელმწიფო მხარს უნდა უჭერდეს და იცავდეს მართლწესრიგსა და კანონიერებას, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გათვალისწინებით, საკანონმდებლო ხელისუფლება შებოჭილი უნდა იყოს კონსტიტუციით შექმნილი და განმტკიცებული საკონსტიტუციოსამართლებრივი წესრიგით, აღმასრულებელი ხელისუფლება კი – კონსტიტუციითა და მის შესაბამისად დადგენილი კანონებით.[3]

ლეგიტიმური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ნიშნებად შეიძლება გამოვყოთ კანონის უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფა, რაც სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოე-

---

[1] <http://goo.gl/hDxySj> [11.08.2014]
[2] <http://goo.gl/Cpc8rS> [11.08.2014]
[3] კუჭუხიძე ა., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2007, 78.

ბის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთსანაცვალო პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ძალაუფლების გამიჯვნა.[1] ეს უკანასკნელი ნიშანი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, განავითარა მონტესკიემ, რომელიც საზოგადოების ნორმალურად ფუნქციონირების საფუძვლად მიიჩნევდა ხელისუფლების დაყოფას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად, რაც ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპზეა დამყარებული.[2]

[1] სამართლისმცოდნეობა, რ. შენგელიას რედაქტორობით, თბილისი, 2004, 38.

[2] იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2014, 21-23.

§3. ჯონ ოსტინი და პოზიტივიზმი

ჯონ ოსტინი (1790-1859) იყო გამოჩენილი ბრიტანელი იურისტი, სამართლის ფილოსოფოსი, რომელიც ჯერემი ბენტამთან ერთად სამართლის პოზიტივიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა. მან ჩამოაყალიბა ბუნებითი სამართლის პირველი სისტემური ალტერნატივა.[1]

ტერმინი „პოზიტივიზმი" წარმოიშვა ლათინური „პოზიტიუმიდან" (pozitium), რომელიც გულისხმობს სამართალს ისეთს, როგორიც ის გადმოცემულია. იგი უარყოფს ბუნებითი სამართალმცოდნეების შეხედულებას, რომ სამართალი არსებობს ადამიანის მიერ მისი ძალაში შეყვანისაგან დამოუკიდებლად.[2]

თუ ბენტამი განასხვავებს იმას, რა არის სამართალი, იმისგან – თუ როგორი უნდა იყოს ის, ოსტინი სამართალში გამოყოფს მხოლოდ „უნდას" და შესაბამისად, იურისპრუდენციის შესწავლის ობიექტად ცნობს პოზიტივიზმის სამართალში ჩადებულ „უნდას".[3]

ჯონ ოსტინმა განავითარა ბენტამის მოძღვრება სამი მიმართულებით: 1. მკვეთრი განსხვავება სამართალს, „რაც არის" და სამართალს, „როგორიც ის უნდა იყოს"; 2. დაქვემდებარებული განსხვავება კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი სისტემების შესწავლასა და ზოგადი სამართლებრივი სისტემის შესწავლას შორის; 3. სამართლის შესახებ კონცეფციების ანალიზის შედეგების სისტემატიზაცია, როგორც შესწავლის განსხვავებული ობიექტებისა, რომელიც აღემატება კონკრეტული ქვეყნის სამართლის შესწავლას.[4]

პოზიტივისტებისთვის უმთავრესი ზოგადი პრინციპია, რომ შესწავლისა და ანალიზისათვის სამართალი იმ კანონისგან უნდა გაიმიჯნოს, რომელიც მორალთანაა დაკავშირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს მკვეთრი განსხვავება „უნდა"-სა (რაც მორალურად სასურველია) და „არის"-ს (ის, რაც ფაქტობრივად არსებობს) შორის.

---

[1] < http://goo.gl/eVY50O > [23.02.2014]

[2] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადიას თარგმანი, თბილისი, 2012, 25-26.

[3] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 60.

[4] იქვე.

არ არის მართალი, თითქოს პოზიტივისტების შეხედულებით უნდა დავემორჩილოთ უსამართლო ან უთანასწორო კანონებს მხოლოდ იმ-იტომ, რომ ისინი კანონებია. **ოსტინიც და ბენტამიც აღიარებდნენ, რომ ბოროტი კანონებისადმი დაუმორჩილებლობა ლეგიტიმურია, თუ ის ხელს შეუწყობს ცვლილებას კარგისკენ.**[1] სწორედ ოსტინს ეკუთვნის ფრაზა „კანონის არსებობა ერთია, ხოლო მისი ნაკლი და ღირსება – მეორე".

კანონის, როგორც ბრძანების იდეა საფუძვლად უდევს კლასიკურ სამართლის პოზიტივიზმს. **ოსტინის შეხედულებით, სამართლის მოქმე-დების საფუძველს აყალიბებს სახელმწიფო ხელისუფლების ნება-სურვილი,**[2] **ანუ სახელმწიფოა ერთადერთი უფლებამოსილი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია შექმნას, დაადგინოს, თუ რა არის სამართალი.**

ოსტინის მოძვრების მთავარი მახასიათებელია კანონის, როგორც სუვერენის ბრძანების, ცნებად მიჩნევა. დანარჩენი, რაც არ წარმოად-გენს ბრძანებას, კანონი არაა. **მხოლოდ ზოგადი ბრძანებები მიიჩნევა სამართლად და მხოლოდ მბრძანებლისაგან გამოსული ბრძანებებია „პოზიტიური კანონები".** ბენტამისა და ოსტინის თეორიები ბრძანების გამცემი სუვერენის იდეით არის განმსჭვალული. მნიშვნელოვანია აღი-ნიშნოს, რომ მბრძანებლის ძალაუფლებას ორივე აღიქვამს მორჩილი ხალხის წეს-ჩვეულებებით დადგენილ ჩვეულებრივ კანონებად. ოსტინი გამოყოფს მბრძანებლის შეუზღუდაობისა და განუყოფლობის საკითხს.[3]

ბრძანებებსა და სანქციებს შორის ურთერთობა ოსტინისათვის არა-ნაკლებ მნიშვნელოვანია. **სანქციას ოსტინი განსაზღვრავს, როგორც გარკვეულ ზიანს, ტკივილს ან ბოროტებას, რომელიც განპირობებულია იმით, რომ ადამიანი არ დაემორჩილა მბრძანებლის სურვილებს.** სანქ-ცია შეიძლება შეეხოს ყველას, ვინც დაარღვევს ბრძანებას. მაგრამ, თუ არ არის იმის ნიშანი, რომ სანქცია განხორციელდება, მხოლოდ სურ-ვილის გამოხატვა ვერ იქნება ბრძანება. ამის გამო ვალდებულებები

---

[1] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადიას თარგმანი, თბილისი, 2012, 26-27.

[2] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 34.

[3] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადიას თარგმანი, თბილისი, 2012, 34.

განსაზღვრულია, როგორც სანქციის პირობები – ეს არის ოსტინის იმპერატიული თეორიის მთავარი პრინციპი.[1]

სანქცია სავალდებულო კომპონენტია კანონის განსაზღვრებაში, *ოსტინი იქამდე მიდის, რომ მოვალეობა სანქციის თვალსაზრისით განსაზღვროს: თუ მბრძანებელს სურს და შესწევს ძალა, ავნოს, ანუ სანქცია დაადოს პიროვნებას, მაშინ ეს პიროვნება მოვალეა ამ სურვილის შესაბამისად იმოქმედოს.*[2]

---

[1] იქვე.

[2] იქვე, 35.

§4. ჰანს კელზენი და სამართლის წმინდა თეორია

I. შესავალი

იურისპუდენციის ერთ-ერთი წამყვანი თეორია **ნორმატივიზმია**. მის დამაარსებლად ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი ჰანს კელზენი მიიჩნევა. ნორმატივიზმის წარმოშობა, თვით კელზენის აზრით, შემდეგმა ისტორიულმა წანამძღვრებამ განაპირობა: მე-20 საუკუნის მიჯნაზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა სამართლებრივი მიმდინარეობა, რომლებიც სამართლის არსს უკავშირებდნენ უპირატესად არასამართლებლივ ფაქტორებს, როგორიცაა: ფსიქოლოგია, ბიოლოგია, ეთიკა, თეოლოგია. ამ მდგომარეობამ კითხვის ქვეშ დააყენა იურისპუდენციის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, არსებობის, მიზანშეწონილობის საკითხი. ამიტომ კელზენმა გადაწყვიტა გაეწმინდა იურისპუდენცია და ჩამოაყალიბა ყოველგვარი მინარევებისაგან თავისუფალი – **სამართლის წმინდა თეორია.**[1]

II. სამართლის გამიჯვნა სხვა ფაქტორებისაგან

სამართლის წმინდა თეორია ემიჯნება სამართლის სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას და ეთიკას.[2] მისი კონცეფციით სამართალი თვით სამართლიდან გამოდის, რომელიც არ ექვემდებარება მიზეზობრივ პრინციპს. იგი საკუთარ თავში იძენს ძალას და მოქმედების უნარს. **კელზენისათვის სამართლის წარმოშობის მიზეზები საერთოდ არ არსებობდა.**[3] იგი იკვლევს მოქმედ სამართალს, დამოუკიდებლად იმისა, რამდენად არის ის სამართლიანი, მიზანშეწონილი, დასაბუთებული და

---

[1] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 62.

[2] იქვე, 63.

[3] ლობჟანიძე გ., ტუკვაძე ა., ჯაოშვილი გ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბილისი, 2006, 87.

ა.შ. **სამართლის წმინდა თეორია არის მოქმედი (პოზიტიური) სამართლის თეორია, რომლის კვლევის საგანია მოქმედი სამართალი.**[1]

სამართლის წმინდა თეორიის თანახმად, სამართალი არის ნორმა, უფრო ზუსტად ნორმათა ერთობლიობა, ნორმატიული წესრიგი. რამდენადაც ნორმატიული წესრიგი იურისპრუდენციის საგანია და ნორმათა მნიშვნელობა მოითხოვს რაღაცის შესრულებას, რომ ადამიანები უნდა მოიქცნენ განსაზღვრული სახით, იურისპრუდენციას არ შეუძლია საკუთარი საგნის აღწერა ისე, როგორც ამას საბუნებისმეტყველო მეცნიერება ახდენს.[2] კელზენის აზრით, სამართლის ნორმა არის მსჯელობა იმის შესახებ, რაც „უნდა იყოს" – ე.ი. **სამართლის ნორმა ჯერარსს გამოხატავს.**[3] მისგან განსხვავებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ფაქტებს არსობის მტკიცებებად განიხილავს, ანუ მოცემული მეცნიერებანი აღწერენ თავის საგანს იმ მტკიცების სახით, რომ რაღაც არსებობს ან არ არსებობს[4]

იურისპუდენცია განსხვავდება ეთიკისგანაც. ეთიკის მეცნიერებაც განიხილავს ნორმებს, მაგრამ ეთიკის მიერ განხილული ნორმები მორალის ნორმებია.[5] იურისპრუდენციაც და მორალიც მსჯელობენ იმაზე, რაც „უნდა იყოს" – ე.ი. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, თუმცა ამ ორ კატეგორიას შორის არის ძირეული განსხვავება.

სამართლის ნორმა აწესებს კონკრეტულ ქცევას. სამართალი ჰეტერონომიულია, კანონი არ ეყრდნობა ადამიანის ნებას, თვით ადამიანი არ ადგენს თავის კანონს. პირს შეიძლება ჰქონდეს რაიმე ვალდებულება, მაგრამ არ სურდეს იგი ან შეიძლება სურდეს რაიმე და არ ჰქონდეს სათანადო უფლება.[6] სამართლის ნორმის შესრულება იძულების ღონისძიებებით თუ სანქციებითაა უზრუნველყოფილი.

---

[1] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 63.

[2] კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ლ ბრეგვაძის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 297.

[3] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 67.

[4] კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ლ ბრეგვაძის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 296.

[5] იქვე, 299.

[6] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 67.

რაც შეეხება მორალის ნორმებს, ისინი, ასევე, კრძალავენ და აწესებენ კონკრეტულ ქცევებს. მაგრამ საწინააღმდეგო ქცევისთვის სანქციის სახით იძულებითი აქტის განსაზღვრის გარეშე.[1] მორალი ავტონომიურია.

III. სამართალის წმინდა თეორია და ბუნებითი სამართალი

სამართლის წმინდა თეორია მხედველობაში იღებს მხოლოდ პოზიტიურ სამართალს, ნორმებს, რომელიც იქმნება ადამიანის მოქმედების საფუძველზე. იგი უგულებელყოფს ნორმებს, რომლებიც მომდინარეობს სხვა, მაგალითად, ზეადამიანური ავტორიტეტებისგან.[2]

სამართლის წმინდა თეორიასა და ბუნებითსამართლებრივ დოქტრინას შორის არსებითი გასხვავებაა. ბუნებითი სამართლის დოქტრინის მიხედვით, ბუნებითი, არა ადამიანის მიერ შექმნილი სამართალი არა მხოლოდ პოზიტიური, ანუ ადამიანის მიერ შექმნილი სამართლის ნამდვილობის საფუძველია, არამედ განსაზღვრავს პოზიტიური სამართლის შინაარსს. შესაბამისად, პოზიტიური სამართალი, რომლის შინაარსი არ შეესაბამება ბუნებით სამართალს, საერთოდ არ მიიჩნევა სამართლად. არსებობს არა ერთი, არამედ ბევრი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნებითსამართლებრივი დოქტრინა. შედეგად, არ არსებობს პოზიტიური მართლწესრიგი, რომელიც რომელიმე მათგანთან მაინც არ იყოს წინააღმდეგობაში და შესაბამისად, არ აცხადებდეს მას არანამდვილად.[3]

სამართლის წმინდა თეორია უარყოფს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, პოზიტიური სამართალი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი შეესაბამება მორალს ან ბუნების წესრიგს, ანუ პოზიტიური სამართალი მოქმედია მხოლოდ მაშინ, თუ იგი სამართლიანია. **მოცემული თეორია ყოველ პოზიტიურ სამართალს – ნებისმიერ**

---

[1] კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ლ ბრეგვაძის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 300.

[2] იქვე, 301.

[3] კელზენი ჰ., ძირითადი ნორმის საკითხისათვის, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012, 252-253.

იძულებით წესრიგს, რომელიც დადგენილი ინდივიდთა მოქმედებით და მთლიანობაში არის ეფექტური – მიიჩნევს მოქმედად, მიუხედავად მისი სამართლიანობისა თუ უსამართლობისა.[1]

IV. ძირითადი ნორმის არსი

კელზენი არ უარყოფს, რომ კანონმდებელი გარკვეული სოციალური მასალიდან იწყებს შემოქმედებას, მაგრამ კანონმდებელი ვერ დაექვემდებარება მიზეზობრიობის პრინციპს, იგი ვერ იწინასწარმეტყველებს ქცევის რა ვარიანტს აირჩევს თითოეული ადამიანი, როგორ განვითარდება მოვლენათა მიზეზშედეგობრიობის ჯაჭვი. ამიტომ კანონმდებელს შეუძლია მხოლოდ ჩამოაყალიბოს ქცევის ზოგადი წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. სამართლის შინაარსი მოიცავს კანონს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, ე.წ. „ზოგად ნორმებს“ და ასევე, „ინდივიდუალურ ნორმებს“: სასამართლო გადაწყვეტილებებს, ადმინისტრაციულ დადგენილებებს, ხელშეკრულებებს და ა.შ. „ზოგადი“ და „ინდივიდუალური“ ნორმების მთელი ეს კომპლექსი ქმნის პირამიდის ტიპის სისტემას. ამ პირამიდის ფუნდამენტს შეადგენს ინდივიდუალური ნორმები, შემდეგაა ზოგადი ნორმები, მერე კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართალი, ხოლო ამ პირამიდას კეტავს ძირითადი ნორმა.[2]

ძირითადი ნორმა, სხვა ნორმისაგან განსხვავებით, არ იქმნება სამართლებრივი პროცედურების მეშვეობით. ის არის სამართლის მუდმივი ნორმა. იგი არ გამოიყვანება არცერთი სხვა ნორმიდან, რადგან არის ჯერარსის უმაღლესი წერტილი.[3] სამართლის წმინდა თეორიის თანახმად, პოზიტიური მართლწესრიგი შეესაბამება ძირითად ნორმას, სწორედ იგი განაპირობებს ნორმათა შექმნას.[4] ამ ნორმისგან იღებს

---

[1] კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ლ ბრეგვაძის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 302.

[2] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 63-65.

[3] იქვე, 66.

[4] კელზენი ჰ., ძირითადი ნორმის საკითხისათვის, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012, 253.

სათავეს ყველა არსებული ნორმა.[1] თუმცა იგი არ განსაზღვრავს ნორმათა შინაარსს. ნორმათა შინაარსი განისაზღვრება ადამიანური ყოფის, არსობის ნებელობითი ქმედებით. არცერთი პოზიტიური მართლწესრიგის ფორმა, რომელიც კონსტიტუციასთან შესაბამისობითაა შექმნილი, არ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც არანამდვილი, იმის გამო, რომ მისი შინაარსი არ არის ამ სისტემის მიღმა არსებულ ნორმასთან შესაბამისობაში. **ნორმასთან მიმართებით საჭირო არაა მისი ნამდვილობის საფუძვლის ძიება. ჩვენ მას ვიღებთ, როგორც სავალდებულოს, თავისთავად გონივრულს.**[2]

ყოველი ნორმის იურიდიული ძალა და კანონიერება დამოკიდებულია იურიდიული ძალის უფრო მაღალი ხარისხის მქონე ზემდგომ ნორმაზე. ამ თეორიის ჩარჩოებში სამართლის გაგება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით: ა) სამართალი არის ნორმატიულ აქტებში ჩამოყალიბებული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი სისტემა; ბ) სამართლის ნორმებს გამოსცემს სახელმწიფო, კანონში განმტკიცებულია სახელმწიფოს ნება; გ) თვით სამართალს და მის რეალიზაციას, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სახელმწიფო იძულების ძალით; დ) ნორმებზეა დამოკიდებული სამართალურთიერთობების წარმოშობა, მართლშეგნების ჩამოყალიბება, სამართლებლივი ქცევა.[3]

V. მონისტური მოძღვრება

როგორც უკვე აღინიშნა, სამართლის წმინდა თეორია სამართლის პოზიტიური თეორიაა. პოზიტიური სამართალი იძულებითი წესრიგია, რომლის ნორმებიც ადამიანთა მოქმედების საფუძველზე, საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ან ადამიანთა ქცევებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული ჩვეულებების შედეგად ყალიბდება. საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ორგა-

---

[1] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 65.

[2] კელზენი ჰ., ძირითადი ნორმის საკითხისათვის, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012, 253.

[3] ლობჟანიძე გ., ტუკვაძე ა., ჯაოშვილი გ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბილისი, 2006, 88.

ნოები განიხილება, როგორც ადამიანები, მათთვის მინიჭებული სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში, რამდენადაც სამართალი იქმნება მოცემული ორგანოების მიერ, ჩვენ ვამბობთ, რომ სამართალს ქმნის სახელმწიფო. განსაზღვრულ ინდივიდთა მიერ მიღებულ სამართალწარმოების აქტს განვმარტავთ, როგორც „სახელმწიფოს აქტს"; ცალკეულ პირთა მიერ განხორციელებულ ფუნქციას მივაწერთ სახელმწიფოს.

სამართლის წმინდა თეორია გვიჩვენებს, რომ: ა) ადამიანის მიერ განხორციელებული მოქმედება განიმარტება, როგორც სახელმწიფოებრივი მოქმედება, მხოლოდ მაშინ, თუ ამ მოქმედებას განსაკუთრებული სახით სამართლებრივი წესრიგი ადგენს; ბ) სამართალწარმოების ამ აქტის შესრულების სახელმწიფოსთვის მიკუთვნება ნიშნავს აქტის შეთავსებას სამართლებრივი წესრიგისადმი, რომლითაც აღნიშნული აქტი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო, როგორც მოქმედი პირი, რომელიც ქმნის სამართალს, სხვა არა არის, თუ არა სამართლებრივი წესრიგის პერსონიფიკაცია, რომელიც არეგულირებს თავისსავე წარმოებას; და გ) სახელმწიფო, როგორც სოციალური წესრიგი თუ პოლიტიკური ორგანიზაცია, არის ის იძულებითი წესრიგი, რომელსაც ჩვენ სამართალს ვუწოდებთ, რომ სახელმწიფო, წარმოსახული, როგორც სამართლისაგან განსხვავებული რეალური არსება ამ შედარებით ცენტრალიზებული სამართლებრივი წესრიგის ჰიპოსტატიზება და ან მისი პერსონიფიკაციაა. ამდენად სამართლის წმინდა თეორია აბათილებს სახელმწიფოსა და სამართლის მცდარ დუალიზმს, რაც გაბატონებულია ტრადიციულ სამართლებრივ თუ პოლიტიკურ აზროვნებაში.[1]

VI. სამართლის წმინდა თეორიის კრიტიკა

სამართლის პოზიტიური თეორია იმთავითვე წააწყდა მძაფრ კრიტიკას. სამართლის პოზიტიური გაგების წინააღმდეგ ძირითადად წამოყენებული იყო შემდეგი თეზისები: 1. იურიდიული პოზიტივიზმი აღია-

[1] კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ლ ბრეგვაძის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 300-301.

რებს სამართალშემოქმედებაზე სახელმწიფოს სრულ და აბსოლუტურ მონოპოლიას. სამართალი განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობა. პოზიტიური თეორია ღიად ტოვებს საკითხს სახელმწიფომდე არსებული სამართლის შესახებ (ბუნებითი სამართალი, ჩვეულებითი სამართალი); 2. სამართლის პოზიტიური ცნება გვერდს უვლის სამართლიანობის საკითხს – სამართლებრივია ის ნორმაც (ან ნორმათა სისტემა), რომელიც ეწინააღმდეგება მორალის ან სამართლიანობის ელემენტარულ პრინციპებს; 3. სამართლის პოზიტიური ცნება ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების მხრიდან სამართლის აღიარების ფაქტს.[1]

VII. დასკვნა

ნორმატივიზმის თეორია:

1. იძლევა კონონმდებლობის სისტემის შექმნისა და სრულყოფის საშუალებას;

2. უზრუნველყოფს კანონმდებლობის განსაზღვრულ რეჟიმს;

3. ხელს უწყობს სამართალზე მოქალაქეთა მართლშეგნების ფორმალურ, ლოგიკურ სამართალზე „ნორმატიული“ წარმოდგენის ფორმირებას;

4. უზრუნველყოფს სამართლის ფორმალურ განსაზღვრას, რაც აფიქსირებს სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს, სახელმწიფოს იძულების ღონისძიებებს და საშუალებებს.[2]

---

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 37.

[2] ლობჟანიძე გ., ტუკვაძე ა., ჯაოშვილი გ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბილისი, 2006, 89.

§5. ბუნებითი სამართალი

I. შესავალი

ბუნებითი სამართალი, რომელსაც ხშირად „ზნეობრივ კანონსაც“ უწოდებენ, არის რაღაც სუბსტანციური, არადროისმიერი, ზეპოზიტიური; იგი თავიდანვე დასრულებული სახით მოგვეწოდება და არც ცვლილებებს ექვემდებარება.[1] ბუნებითი კანონი თავისით წარმოიშობა, მხოლოდ შემდეგ ახდენს იურიდიული კანონი მის აღიარებას და თავის თავში ასახვას. იურიდიული კანონის მასთან წინააღმდეგობისას იგი, როგორც შეუვალი ბუნებრივი კანონი, ადამიანის ცნობიერებაში არსებობას არ წყვეტს.[2]

პირველი იდეები იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს რაღაც უფლებები, რომლებიც მას ბუნებისგან მიეცა, ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში აღმოცენდა. ცნობებს მათ შესახებ შეიცავს სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და ანტიკური პერიოდის სხვა მოაზროვნეთა თხზულებები. თუმცა მაშინდელი ბუნებითი სამართლის გაგება საკმაოდ განსხვავდებოდა შემდგომი პერიოდისაგან. არსებობს მოსაზრება, რომ ბუნებითი სამართალი აღმოცენდა პრაქტიკულად ადამიანისა და კაცობრიობის გაჩენასთან ერთად, ანუ უძველეს პერიოდში, თუმცა მისი აღქმა და აღიარება დაიწყო განვითარების გაცილებით გვიანდელ ეტაპზე.[3]

სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდელ საზოგადოებაში ხალხთა სამართლებრივ ჩვეულებებში უკვე შეგვიძლია ფორმირებადი ე.ი. მისი გამოჩენის (აღმოჩენის) პროცესში მყოფი, ბუნებითი სამართლის მიკვლევა.

კლასიკური ბუნებითი სამართლის სწავლება ეფუძნება სამ საერთო არსებით პოსტულატს: 1. ბუნებითი სამართალი არის უცვლელი და

---

[1] თაბორიძე ირ., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 102.

[2] იქვე, 103

[3] ჯოხაძე ზ., ბუნებითი სამართლის ფორმირების ისტორიული ასპექტები, ჟურნ. „სამართალი“, №6, 2001, 93.

საყოველთაოდ მოქმედი, მაშასადამე, მოქმედებს ყოველ დროში ყველა ადამიანისათვის; 2. ბუნებითი სამართალი გონებით შეიმეცნება; 3. ბუნებითი სამართალი გვევლინება არამარტო პოზიტიური სამართლის მასშტაბად, არამედ იკავებს მის ადგილს ამ უკანასკნელის მასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.[1]

II. ბუნებითი სამართლის სახეები

ბუნებითი სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთის ნება და გონი. შესაბამისად, **განასხვავებენ ანთროპოლოგიურ, რელიგიურ და რაციონალურ ბუნებით სამართალს.**[2]

ა) რელიგიური ბუნებითი სამართალი

ბუნებითმა სამართალმა თეოლოგიური ხასიათი შუა საუკუნეებში მიიღო. ქრისტიანული რელიგიის გვარცელებამ ბუნებითი სამართლის ახალი წყაროს წარმოშობა გამოიწვია. მოცემული მიმდინარეობა იღებს ბუნებითი სამართლის განსაზღვრების სტოიკოსთა ვერსიას, ამასთან, **უპიროვნო, „სამყაროს კანონის“ ადგილს იკავებს ღმერთი, შემოქმედი.**[3] **ამ დროიდან ბუნებითი სამართლის უმთავრეს წყაროდ ბიბლია გვევლინება.**[4]

ბ) ანთროპოლოგიური ბუნებითი სამართალი

ძველი სოფისტების რელატივისტური მოსაზრებიდან ვითარდება ბუნებითი სამართლის მიმდინარეობა, რომლის ამოსავალი წერტილიც

---

[1] თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 104.

[2] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 37.

[3] თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 103.

[4] იქვე, 120.

ადამიანის ინსტიქტურობაა. **ეს მიმართულება ადამიანის ყველა მისწრაფებას მისი თვითგადარჩენის ინსტიქტის კონტექსტში აღიქვამს.**[1]

ბუნებითი სამართალი თავის გენეზისში გამომდინარეობს ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან და ამ თვალსაზრისით, შეიძლება ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ სამართალი იწყება ინსტიქტებით. სწორედ ინსტიქტიდან გამომდინარეობს, მაგალითად, „პირველადი" ბუნებრივი უფლება – სიცოცხლის უფლება. თავისუფლების, პიროვნების ღირსების, პირადი ხელშეუხებლობის უფლებები, ასევე, ჩამოყალიბდა კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე.[2]

ამავე ჩარჩოებში საბუთდება ძლიერთა უფლება მათი ნების დამკვიდრებაზე და ხდება ამის იმ მოტივით გამართლება, რომ ეს ბუნებრივია.[3]

გ) რაციონალური ბუნებითი სამართალი

სამართლის მეცნიერებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში გაბატონებული იყო მოძღვრება, რომელიც ამტკიცებდა, რომ პოზიტიური სამართლისგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებითი სამართალი; **ბუნებითი სამართლით ნაგულისხმევი იყო უზენაესი, საყოველთაო, მარადიული სამართლის პრინციპები, რომლებიც არსებობენ თავისი დამოუკიდებელი ძალით და ამავე დროს წარმოადგენენ იდეალს და პოზიტიური სამართლის შეფასების კრიტერიუმს.** ბუნებითი სამართლის წყაროს ხედავდნენ საგანთა ბუნებაში და ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, სადაც დაუშრეტლად ცოცხლობს სამართლიანობის იდეა. ეს თეორია მიზეზობრივად დაკავშირებულია ადამიანის გონების ძირითად თვისე-

---

[1] იქვე, 103

[2] ჯოხაძე ზ., ბუნებითი სამართლის ფორმირების ისტორიული ასპექტები, ჟურნ. „სამართალი", №6, 2001, 93.

[3] თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2004, 103.

ბასთან. იგი აზროვნების იმ ტენდენციის შედეგია რომელიც ცდილობს ცვალებადში გამონახოს მუდმივი და საყოველთაო.[1]

ბუნებითი სამართალი „ბუნებითი გონიდან" არის გამოყვანილი და მასთან ერთად აქვს წილი მარადიულ წესრიგში. უცვლელია ბუნებისმიერი ისეთი უფლებები, როგორებიცაა – საოჯახო წყობის ან კერძო საკუთრების უფლება.[2]

რაციონალიზმი უმაღლეს წერტილს აღწევს კანტის ფილოსოფიაში. აქ ბუნებითი სამართალი სავსებით გამომდინარეობს ადამიანის გონებიდან. სამართლის საფუძვლად მიჩნეულია გონება; ბუნებითი სამართალი იქცევა გონების სამართლად, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ადამიანის ემპირიული ბუნებისაგან. კანტს სამართალი გონების აპრიორული მოთხოვნიდან გამოჰყავს.[3]

III. ბუნებითი სამართლის პრაქტიკული მნიშვნელობა

გროციუსი, ჰობსი, ლოკი და სხვები ბუნებით სამართალს უყურებდნენ, როგორც იურიდიული ნორმების მთლიან რთულს სისტემას. მათი აზრით, ამ ნორმების საშუალებით შესაძლებელი იყო ადამიანთა ყველა ურთიერთობების მოწესრიგება.[4] ამ პერიოდში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კანონის ყევლა განშტოება, განსაკუთრებით საერთაშორისო საჯარო სამართალი, დამყარებულია ბუნებით სამართალზე.[5] ამ დროიდან მოყოლებული ბუნებითი სამართლის თეორიამ ისტორიულად დიდი პრაქტიკული ძალა და მნიშვნელობა გამოიჩინა. მან შექმნა ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლების დოქტრინა და ხელს უწყობდა იმ მოძრაობას, რომელსაც მიზნად პიროვნების სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური შევიწროებისგან გათავისუფლება ჰქონდა და-

---

[1] ვაჩეიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 2.

[2] თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2004, 103.

[3] ვაჩეიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 36.

[4] იქვე, 35.

[5] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადიას თარგმანი, თბილისი, 2012, 6.

სახული. მან ღრმა გავლენა იქონია სამართლის მეცნიერების სხვა-დასხვა დარგში, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართალში. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს „ადამიანის უფლებების დეკლარაციაში" გამოიხატა და აგრეთვე, სამ დიდ კოდექსში – საფრანგეთის, პრუსიისა და ავსტრიის – რომლებიც მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში შემუშავდა.[1]

გაეროს საერთაშორისო დეკლარაციები და კონვენციები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა სფეროში შექმნილი სამართლებრივი აქტები ბუნებითი კანონის უპირობო დაშვებიდან გამომდინარეობს.[2]

---

[1] ვაჩეიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 39.

[2] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადიას თარგმანი, თბილისი, 2012, 1.

§6. რადბრუხის ფორმულა

გუსტავ რადბრუხი (1878-1949) იყო სახელგანთქმული გერმანელი იურისტი და სამართლის ფილოსოფოსი, ცნობილი პროფესორი და ვაიმარის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.[1]

რადბრუხის სამართლებრივი ფორმულა მომდინარეობს მეთოდოლოგიური დუალიზმიდან, **ის განასხვავებს ერთმანეთისგან „იდეალურ სამყაროს“ და „მატერიალურ, რეალურ სამყაროს“.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, რაც „არის“ და ის, რაც „უნდა“ იყოს.[2]

მეორე მსოფლიო ომმა და გერმანიაში მიმდინარე პროცესებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა რადბრუხზე.[3] ჰიტლერის დროინდელი ნაციონალურ-სოციალისტური „სამართალი“ სრულიად მოკლებული იყო სიმართლისა და უფლების განცდას, ამ სიტყვების ნებისმიერი შესაძლო მნიშვნელობით.[4] „ბრძანება ბრძანებაა“ – ეუბნებიან ჯარისკაცებს, თუმცა, იმავდროულად, ჯარისკაცისგან არც მისი მოვალეობა და არც კანონი მოითხოვს ბრძანებისადმი მორჩილებას, თუკი მისთვის ცნობილი გახდება, რომ ბრძანების მიზანი დანაშაულის ჩადენა ან სამართალდარღვევის განხორციელებაა.“[5]

„პოზიტივიზმმა საკუთარი პრინციპით – „კანონი კანონია“ – გერმანელი სამართალმცოდნეები სრულიად დაუცველი აქცია დესპოტური და დანაშაულებრივი კანონის წინაშე.“[6] პოზიტივიზმს არ შეუძლია უზრუნველყოს კანონების ნამდვილობა, აღსრულების ძალა უზრუნვე-

---

[1] < http://goo.gl/nj4vvn > [26.01.2014]

[2] < http://goo.gl/MCCk2B> [26.01.2014]

[3] Bix B.H., Radbruch's Formulas and Conceptyal Analysis, The American Journal of Jurisprudence, №56(1), 2011, 45.

[4] რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 322.

[5] რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012, 248.

[6] იქვე.

ლყოფს დაწერილის შესრულების ვალდებულებას, როგორც „სავალდებულოს“ და არა მის სამართლებრივ სისწორეს, ნამდვილობას.[1]

მან ჩამოაყალიბა სამი მნიშვნელოვანი მახასიათებელი სამართალში: **სამართლიანობა, სამართლებრივი უსაფრთხოება და მიზნობრიობა.** ეს სამი ელემენტი ფარდობითია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთმანეთს უპირისპირდება სამართლიანობა და სამართლებრივი უსაფრთხოება.[2]

რადბრუხის ფორმულა შესაძლებელია დაიყოს სამ ელემენტად: 1. სამართლებრივი უსაფრთხოება, 2. გაუსაძლისი (აუტანელი) უსამართლობა და 3) კანონმდებლობის უარყოფადობა. ეს სამი ელემენტი დაკავშირებულია პასუხთან კითხვაზე – სამართლის სამი მახასიათებლიდან რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.[3]

რადბრუხი ყურადღებას ამახვილებს კანონების „სამართლიანობაზე“. კანონის არსებობა საერთო ჯამში ყოველთვის ჯობია კანონის არარსებობას, ვინაიდან ეს ყოველივე, როგორც მინიმუმ, უზრუნველყოფს სამართლებრივ უსაფრთხოებას. თუმცა სამართლებრივი უსაფრთხოება არ გახლავთ სამართლის ეფექტურობის არც ერთადერთი და არც განმსაზღვრელი მახასიათებელი. სამართლებრივ უსაფრთხოებასთან ერთად, არსებობს ორი სხვა ღირებულებაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – მიზნობრიობა და სამართლიანობა.[4] ამიტომაც ხშირად ასარჩევია, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დავთანხმდეთ თუ არა ცუდ, ზიანის მომტან და უსამართლო კანონებს, თუ უარი ვთქვათ უსამართლო, სოციალურად ზიანის მომტან კანონებზე.[5]

საბოლოო ჯამში, ხალხისთვის სასარგებლოა ისეთი სამართალი, რომელიც ქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებას და მიისწრაფვის სამართლიანობისკენ. სამართლებრივი უსაფრთხოება (რომელიც ყოველი მოქმედი პოზიტიურსამართლებრივი კანონის მახასიათებელია) იკავებს

---

[1] რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 321.

[2] < http://goo.gl/WCCk6I> [26.01.2014]

[3] იქვე.

[4] რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 321.

[5] რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012, 248.

შუალედურ პოზიციას დანარჩენ ორ ღირებულებას – მიზნობრიობასა და სამართლიანობას შორის, რადგან იგი აუცილებელია არა მხოლოდ საერთო სარგებლისთვის, არამედ სამართლიანობისთვისაც.[1] სამართლებრივ უსაფრთხოებას სჭირდება ბალანსი სტაბილურობასა და მოქნილობას შორის. **სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის დავა შესაძლებელია გადაწყდეს შემდეგნაირად: პოზიტიური სამართალი, რომელიც კანონმდებლობითა და ძალაუფლებითაა უზრუნველყოფილი, უპირატესია მაშინაც, თუკი უსამართლო და ხალხისთვის ნაკლებ სასარგებლო დებულებებს მოიცავს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონსა და სამართლიანობას შორის დავა მიაღწევს ისეთ გაუსაძლის ხასიათს, რომ კანონმა, როგორც „ნაკლოვანმა სამართალმა", გზა სამართლიანობას უნდა დაუთმოს.**[2]

---

[1] რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, „სამართლის ჟურნალი", №2, 2012, 321.
[2] იქვე, 322.

თავი II. სახელმწიფო ხელისუფლება და სამართალი

§1. ლეონ დიუგი და ხელისუფლების ბოჭვა

სოციოლოგი, სამართლის თეორეტიკოსი და კონსტიტუციონალისტი ლეონ დიუგი ავითარებს თავის თეორიას სოციოლოგიური პოზიტივიზმის შესახებ, რომლის მიხედვითაც, სამართალი უნდა ეთანხმებოდეს სოციალურ ქცევას. ამის განსახორციელებლად კი სახელმწიფომ, თავის მხრივ, ობიექტური სამართალი უნდა გარდაქმნას პოზიტიურ სამართლად.

სახელმწიფოს აქვს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები. პირველის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხალხის უსაფრთხოება, ხოლო ნეგატიური ვალდებულებები მას აიძულებს, თავი შეიკავოს ინდივიდუალური განვითარებისთვის ხელის შეშლისაგან.[1] მას მხოლოდ სოციალური დარღვევების მოწესრიგებისას შეუძლია ჩარევა, რაც, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოს დისკრეციაა, რადგან ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობა, გზიდან გადახვევაა, რომელიც შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ადამიანის უფლებათა ურყევობისათვის, რადგან გადამეტებული ინდივიდუალური თავისუფლება ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს ანარქიისაკენ უბიძგებს.

არ არსებობს წინააღმდეგობა ინდივიდუალურ და კოლექტიურ ინტერესს შორის, პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის. ყველას ინტერესი არის მჭიდროდ დაკავშირებული თითოეულის ინტერესთან. კოლექტიურ და ინდივიდუალურ მიზნებს შორის მუდმივი და სრული თანხვედრაა. **რაც უფრო ძლიერია სოციალური კავშირი, მით უფრო თავისუფალია პიროვნება.**[2] დიუგი ეთანხმებოდა კარლ მარქსს, რომლის აზრითაც, **თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველა დანაჩენის**

---

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 96.

[2] Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 10.

თავისუფალი განვითარების პირობაა.[1] ამასთან, დიუგი სახელმწიფოს წარმოაჩენს არა როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ კოლექტივს, არამედ როგორც დაჯგუფებას, რომელშიც ადამიანებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი მატერიალური ძალები, ინდივიდის დაცვისას მიაღწიონ სოციალურ ინტეგრაციას და პირიქით, სოციალური ინტეგრაციის საკითხზე მუშაობისას დაიცვან პიროვნება.

დიუგი ეწინააღმდეგებოდა ელინეკის შეხედულებას სახელმწიფოს თვითბოჭვის შესახებ[2] და მიიჩნევდა, რომ ეს წმინდა ილუზიაა. შეზღუდვები, რომლებიც სახელმწიფომ შეიძლება დაუწესოს საკუთარ თავს, ნაკარნახევია თავისივე მიზნებიდან, ზნე-ჩვეულებებიდან, საჯარო შეხედულებიდან. ეს შეზღუდვები არის მორალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, მაგრამ არა იურიდიული. **დიუგი მკაცრად უარყოფდა ამ ყოველივეს და ღრმად სწამდა, რომ არსებობს უზენაესი სამართლის კანონი, რომელიც თანაბრად ეხება პიროვნებასაც და სახელმწიფოსაც, მმართველსაც და მართულსაც. თუკი სახელმწიფო სუვერენიტეტი არსებობს, ის სწორედ ამ კანონით არის იურიდიულად შებოჭილი. ეს სამართლებრივი ბოჭვა სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალური ნების შეზღუდვა. ამასთან, ის, რასაც ჩვენ სახელმწიფოს ნებას ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა გარკვეულ პირთა ნება.**[3] **სახელმწიფოს ბოჭვა ერთდროულად არის პოზიტიური და ნეგატიური: ნეგატიური ბოჭვისას უნდა დადგინდეს ისეთი კანონის არსებობა, რომლის გამოცემაც სახელმწიფოს იურიდიულად არ შეუძლია, ხოლო პოზიტიური ბოჭვის შემთხვევაში ვარკვევთ, არსებობს თუ არა ისეთი კანონი, რომლის გამოცემაც სახელმწიფოსათვის სავალდებულოა.**[4] ამ ორმაგი შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრება სამართლის მეცნიერების პრეროგატივაა. იურიდიულმა ოსტატობამ უნდა დააწესოს ფორმულა და პრაქტიკული სანქცია. თუკი მეცნიერებასა და იურიდიულ ხელოვნებას ეს არ შეუძ-

---

[1] Marx K. et Engels Fr., Manifeste du parti communiste, 1848, p 41.

[2] Jellinek G., Gesetz und Verordnung, 1887, 198.

[3] Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 12.

[4] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 96.

ლია, მაშინ მთელი მისი სწავლება ერთი წუთის ძალისხმევადაც არ ღირს.[1]

სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ბოჭვის პრინციპს ვერ მოვიძიებთ სახელმწიფომდელ ინდივიდუალურ უფლებებში. ინდივიდის უფლება წმინდა ჰიპოთეზაა, მეტაფიზიკური მტკიცება და არა უტყუარი რეალობა. ის უკავშირდება საზოგადოებების ჩამოყალიბების სოციალურ ხელშეკრულებას, რომელიც თავის თავში, ანტინომიაა. როდესაც საზოგადოებას განვიხილავთ ხელშეკრულების ჭრილში, გვავიწყდება, რომ ხელშეკრულების იდეა მხოლოდ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის გონებაში შეიძლება გაჩნდეს: **ხელშეკრულება წარმოიშვა სოციალური ცხოვრებიდან და არა პირიქით.** დიუგი ეთანხმებოდა სოციოლოგიური პოზიტივიზმის თანამედროვე წარმომადგენელ დიურკჰეიმს, რომლის აზრით, **სამართალი სხვა არაფერია, თუ არა სოციალური ფაქტორის პირდაპირი შედეგი.**

დღესდღეობით სამოქალაქო თავისუფლებების გამოხატვა აშკარად შეზღუდულია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნეგატიური ვალდებულებების გარდა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებიც აქვს, რომელიც აიძულებს მას, გარკვეულ ფარგლებში ყველას შეუქმნას პირობები, რათა შეძლონ საკუთარი საქმიანობის განვითარება. თუმცა დიუგი იტოვებს უფლებას, შეინარჩუნოს სამოქალაქო თავისუფლებების ტერმინი, რადგან ის გამოიყენება და სწორედ მისი ნაწილია ინდივიდუალური თავისუფლება, – შრომის, ვაჭრობის, ხელშეკრულების დადების, ასევე, აზრის გამოხატვის, აღმსარებლობის, გაერთიანების თავისუფლება და სხვ.[2]

დიუგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოზიტიური კანონმდებლობის თანხვედრას ახალ საჭიროებებთან, თანამედროვე შეგნებასთან და აღიარებდა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობაც სწორედ ინდივიდუალური უფლების საფუძველზე შეიქმნა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება სოციალურ-იურიდიულ, პოზიტიურ სამართალს ემ-

---

[1] Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 12.

[2] Duguit L., Traité de droit constitutionnel, t. 5, Les libertés publiques, Paris, 1926, 2ème éd., p. 2.

სახურება, ის მაინც განიცდიდა ბუნებითი სამართლის გავლენას. იგი ამბობდა, რომ პოზიტიური სამართლის წინა პლანზე წამოწევა იმას არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალურ ბუნებით სამართალს დიდი სამსახური არ გაუწევია საზოგადოებისათვის. პირველ ყოვლისა, **სწორედ ბუნებითი სამართლის არსებობით მტკიცდება, რომ ხელისუფლება სამართლით არის შებოჭილი.**[1] საფრანგეთის გენერალური შტატების დეპუტატებიც ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ არის შეუზღუდავი, რომ კანონმდებელსაც არ შეუძლია შეუზღუდავად იმოქმედოს.[2] თუმცა ამბობდნენ რა ამას, ვერ ამჩნევდნენ, რომ აღნიშნული სახელმწიფო შეზღუდვები არ იყო ფიქსირებული და იცვლებოდა დროისა და ქვეყნის მიხედვით. მაგალითად, თუკი გარკვეულ ეპოქაში სახელმწიფოს შეეძლო პიროვნებისათვის აეკრძალა გაერთიანება, სხვა დროს პირიქით, დადგენილი წესები პირს აიძულებდა, პატივი ეცა ყველა გაერთიანებისათვის. უფრო მეტიც, თუკი ინდივიდუალური უფლებების დოქტრინას შეუძლია ნეგატიურად შებოჭოს სახელმწიფო ხელისუფლება, მას არ ძალუძს განსაზღვროს პოზიტიური ვალდებულებები. დიუგი ეწინააღმდეგებოდა მიშელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ კარგად გაცნობიერებული ინდივიდუალური უფლებით შეიძლება ერთდროულად დაწესდეს სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები. *დიუგის მტკიცებით, თუკი ინდივიდს იმიტომ აქვს უფლებები, რომ ის ადამიანია, მას მხოლოდ ბუნებისაგან ნაბოძები უფლება შეიძლება ჰქონდეს და არა მეტი.* კოლექტივს არ შეუძლია ამ უფლებებს შეეხოს. ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობა არსებობს. კოლექტივს აქვს ეს შესაძლებლობა. **ადამიანს კი მხოლოდ მისი პიროვნულობიდან, უმაღლესი ღირსებიდან გამომდინარე აქვს უფლებები.**[3]

წმინდა ინდივიდუალისტურ დოქტრინაში ადამიანს არ შეუძლია აიძულოს სახელმწიფო და იმისათვის, რომ ეს შეძლოს, ამის უფლება თვით სახელმწიფოსაგან უნდა ჰქონდეს მინიჭებული, რაც ზუსტად

---

[1] Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 13.
[2] La Constitution française, 1791, tit. I, par.3
[3] Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 14.

ინდივიდუალისტური დოქტრინის უარყოფაა. ინდივიდუალური უფლებების დოქტრინას არ შეუძლია დააწესოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები. მაგრამ აღნიშნული ვალდებულებები მაინც არსებობს. **დიუგი სრულად იზიარებდა პრინციპს, რომ სახელმწიფო არა მარტო პოლიციური ან სამართლებრივი, არამედ კულტურულიც უნდა იყოს.**[1] მისი თქმით, **პოლიცია, სამართალი და კულტურა ერთიანი სისტემაა, ერთი და იგივე რამ არის. ისინი წარმოადგენენ პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ერთობლიობას, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს, უფრო ზუსტად, საზოგადოების ყველა წევრს, ძლიერებსა და სუსტებს, მმართველებსა და ქვეშევრდომებს.**

რაც არ უნდა იყოს მისი წარმომშობი, სახელმწიფო მატერიალური ძალაა – ეს არის და რჩება უბრალო ფაქტად. მაგრამ **იგი ლეგიტიმური ხდება მაშინ, როდესაც ასრულებს კანონის მიერ მისთვის დაკისრებულ ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს. შესაბამისად, როგორც იერინგი ამბობს, სამართალი სულაც არ არის ძალის პოლიტიკა, ის ძალაუფლების საზღვარია.**[2]

---

[1] იქვე, იხ. ციტირება: Gierke, Die Grundbegriffe des staats, dans Zeitschrift far die gesammie Staatswissenschaft, t.XXX, 161.

[2] Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 15.

§2. წინააღმდეგობის უფლება

წინააღმდეგობის უფლება (ლათ. *Ius resistendi*) არის უკიდურესი საშუალება, როდესაც სხვა ფორმით შეუძლებელი ხდება თავისუფალი დემოკრატიული წყობილებისა და სამართლის დაცვა.[1] **წინააღმდეგობის უფლების გამოყენება დაიშვება მხოლოდ მართლწესრიგის დაცვისა და აღდგენის მიზნით.** წესრიგისა და უსაფრთოების დაცვა საზოგადოებაში არ არის კერძო საქმე და ამას მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ. თვითდაცვის უფლება მოქალაქეს აქვს მხოლოდ უკიდურესი აუცლებლობისა და აუცილებელი მოგერიების შემთხვევაში. *როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს პირის უსაფრთხოების დაცვას, კანონი ინდივიდს ანიჭებს თვითდაცვის საშუალებას, ყველა სხვა შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოა უფლებამოსილი დაიცვას უსაფრთხოება და წესრიგი.* **წინააღმდეგობის უფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, როცა მართლწესრიგი აღარ ფუნქციონირებს.**

წინააღმდეგობის უფლებაში თვალსაჩინოდ იკვეთება კანონსა და სამართალს შორის არსებული განსხვავება. **წინააღმდეგობის უფლება არ ნიშნავს ზღვარგადასულ თვითნებობას. იგი, ასევე, არ უარყოფს სამართლის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს.**[2]

სამართალი ზოგჯერ ემიჯნება და უპირისირდება სამართლიანობას. მართლმსაჯულების სასწორი ზოგჯერ სამართლის სასარგებლოდ იხრება და სამართლიანობა ითრგუნება. *ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა სამართლით დაცული სიკეთე აღემატება სამართლიანობის მეურვეობის ქვეშ მყოფ სიკეთეს. მართალია ეს უკანასკნელი სიკეთე, ცალკე აღებული, ინდივიდუალიზებულად უარყოფილია, მაგრამ ის დაცულია საზოგადოდ სამართლით დაცული სიკეთის საფუძველზე.* ეს ერთგვარი უკიდურესი აუცილებლობის ანალოგიური მოვლენაა. როცა გემის ჩაძირვის საფრთხის გამო ტვირთის ნაწილს ზღვაში ყრიან, ამით ხდება როგორც გემის, ისე დარჩენილი ტვირთის გადარჩენა. **სამართალსა და**

---

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 99.
[2] იქვე, 100.

სამართლიანობიას შორის კონფლიქტს მაშინ აქვს ადგილი, როცა სამართალი უარყოფს სამართლიანობის ერთეულ შემთხვევას და არა საერთოდ სამართლიანობას.

მაგალითად, სამართლებრივი უსაფრთხოება რომ შეინარჩუნო, ერთეული სამართლიანობა უნდა უარყო. ეს შემთხვევა, უხეშად რომ ვთქვათ, ჰგავს სამართლიანობისათვის მსხვერპლშეწირვას. მსხვერპლისათვის ეს ვერ იქნება სამართლიანი. სამოქალაქო საზოგადოებაში, რელიგიურისგან განსხვავებით, მსხვერპლი ამას ვერ გააცნობიერებს და არც არსებობს ამის ზნეობრივი ვალდებულება. არცერთი დამნაშავე არ იქნება მზად სასჯელი მიიღოს მარტოოდენ იმისათვის, რომ სხვებს დაეკარგოს დანაშაულის ჩადენის სურვილი, ან შეიძლება სასჯელი მიიღოს კიდეც, ოღონდ იმის შეგნებით, რომ ცოდვები მოინანიოს. გავიხსენოთ სხვა შემთხვევა, როცა დაუდევრობისათვის დგება სასჯელი. თუკი დაუდევრობა ადამინის ხასიათის, ბუნების იმანენტური თვისება, ვთქვათ, გულმავიწყობით გამოწვეული შედეგისათავის ადამიანის დასჯა არ იქნება სამართლიანი, მაგრამ ის გამართლებულია სისხლის სამართლის პოლიტიკით.[1]

კანონი მხოლოდ მაშინ არის სამართალი, თუ იგი კონსტიტუციას შეესაბამება. წინააღმდეგობის უფლება იცავს სწორედ დემოკრატიულ საკონსტიტუციო წესრიგს.[2]

წინააღმდეგობის უფლება განმტკიცებული იყო აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (1776), საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში (1789). თანამედროვე ეპოქაში წინააღმდეგობის უფლების კონსტიტუციის დონეზე ასახვას სიფრთხილით ეკიდებიან. ფაქტობრივად, ამ უფლების აღიარებით კონსტიტუცია თავისსავე დაფუძნებული მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას დააკანონებს. როგორც წესი, ამ უფლების ძირითად კანონში ჩაწერის გადაწყვეტილებას ის სახელმწიფოები იღებენ, რომლებსაც ტოტალიტარული თუ ავტორიტარული ისტორიული გამოცდილება აქვთ და წინააღმდეგობის

---

[1] ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბილისი, 2013, 217.

[2] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 99.

უფლების უზრუნველყოფით არადემოკრატიული სისტემის დამკვიდრების პრევენციას ახდენენ. დღეისათვის წინააღმდეგობის უფლება მოცემულია გერმანიის, საბერძნეთის, პორტუგალიის, ესტონეთის, ლიტვის, სლოვაკეთისა და უნგრეთის კონსტიტუციებში.[1]

[1] იქვე.

§3. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა პასიური წინააღმდეგობის ფორმაა, რაც გულისხმობს კანონთა და სამოქალაქო წესრიგის დებულებათა, ორგანიზაციისა თუ ხელისუფლების მორჩილების უარყოფას, რომელიც უსამართლოდ არის მიჩნეული მათ მიერ, ვინც მას უპირისპირდება. ის უკანონო პოლიტიკური ქცევაა, რომელიც დაფუძნებულია რწმენის მოტივებზე, მორალურ პრინციპებზე. მისი მიზანი კანონის უსამართლობისაკენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა იმ იმედით, რომ ამით მის გაუქმებას ან ცვლილებას გამოიწვევს. ისინი, ვინც სამოქალაქო დაუმორჩილებლობას აცხადებენ, მზად არიან დამსახურებული სასჯელის მისაღებად, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთისთვისაც, რომელიც, შესაძლოა, მათ კანონის დარღვევისათვის მიესაჯოთ. **პროტესტი მშვიდობიანი დემონსტრაციებით, პეტიციების შედგენითა და მისი ხელისუფებისათვის გადაცემით, გზების დროებით ბლოკირებით, პიკეტების მოწყობით, პროკლამაციების დარიგებით, გაფიცვებით ან მუშაობის ხანმოკლე შეწყვეტით და ა.შ. გამოიხატება.**[1]

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფორმის პრინციპები პირველად აღწერა ამერიკელმა მწერლმა, ჰენრი დევიდ თოროომ, თავის ესსეში – „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა“ (1849 წ.). ის უარობდა მექსიკის წინააღმდეგ ომის დასაფინანსებლად დაწესებული გადასახადის გადახდას. ჰენრი დევიდ თოროს აზრით, **სწორედ პიროვნების საშუალებით ინარჩუნებს სახელმწიფო ძალაუფლებას.** *„თუკი უსამართლობა ხელისუფლების აუცილებელი ჩაგვრის ნაწილია, მიუშვით. ვიმედოვნოთ, რომ ეს მოგვარდება, რომ მანქანა დაიღლება. თუკი უსამართლობას აქვს ზამბარა, ბორბალი, თოკი, სახელური, მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის, შეიძლება ვიეჭვოთ, რომ წამალი ტკივილზე უარესია. მაგრამ თუკი ეს მოითხოვს, რომ ვინმეს მიმართ უსამართლობის რწმუნებული იყოთ, მაშინ დაარღვიეთ კანონი. შექმენით საკუთარი ცხოვრებისგან ჯოხი ბორბლებისთვის, რომელიც გააჩერებს მანქანას. ისე უნდა მოვიქცე, რომ ხელი არ შევუწყო ბოროტებას, რომელსაც ვგმობ.“* თოროო

[1] საყვარელიძე ფ., ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, თბილისი, 1999, 128.

ხაზს უსვამს პიროვნების სურვილსა და ინდივიდუალურ გონებას. წინააღმდეგობის გაწევისათვის აუცილებელი არ არის, ჯგუფის წევრი იყო.[1] აღნიშნული იდეა წმიდა ავგუსტინეს მიერაც იყო გაცხადებული: „უსამართლო კანონი არ არის კანონი“. მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ უსამართლო კანონს გარეგნული ძალაუფლება აქვს, რაც მას მთავრობის მანდატით აქვს მინიჭებული. **ყველა კანონი, რომელიც ცვლის და აუარესებს თავის პირველად მიზანს, თვითონვე ნადგურდება: იგი აღარ არის კანონი.**

პრაქტიკულად, პოლიტიკის ფილოსოფოსთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ უსამართლო კანონები არ იყო სავალდებულო და ქადაგებდა წინააღმდეგობასა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, მათ შორის არიან: თომა აქვინელი, ფრანცისკო სუარესი, ჯონ ლოკი, თომას ჯეფერსონი, ედმუნდ ბერკი, მაჰათმა განდი და მარტინ ლუთერ კინგი. ჯონ ლოკი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დასაშვებობასა და ამასთანავე, გარკვეულ ფარგლებზე საუბრობდა: „წინააღმდეგობა ყოველთვის ლეგიტიმურია, როდესაც პიროვნება თავს დაჩაგრულად გრძნობს ან ფიქრობს, რომ უსამართლოდ ექცევიან?“ – არა, პოლიტიკური ძალაუფლების უსამართლობასა და არალეგიტიმურობას ადამიანთა ჯგუფი უნდა აფასებდეს, სანამ მისთვის წინააღმდეგობის გაწევას გადაწყვეტს. ეს გადაწყვეტილება კი სინდისიერად უნდა იყოს მიღებული. ჯონ ლოკის საკვანძო ფიქრი თავისუფლებაა, თუმცა ტირანისადმი დაუმორჩილებლობაზე აპელირებისას ძალადობას არ გამორიცხავს.[2]

რონალდ დუორკინი, რომელიც მორალურ ვალდებულებებს უპირატესად მიიჩნევდა, ფიქრობდა, რომ ადამიანს აქვს მორალური უფლებები, რომლითაც შეუძლია, სახელმწიფოს შეეწინააღმდეგოს: „ადამიანმა პატივი უნდა სცეს საკუთარ ვალდებულებებს ღმერთისა და საკუთარი სინდისის წინაშე და თუ ეს უკანასკნელნი კონფლიქტში არიან სახელმწიფოსთან, უფლება აქვს გააკეთოს ის, რასაც სწორად მიიჩნევს.“[3] დუორკინისათვის კანონმორჩილების მორალური ვალდებულება

---

[1] Boulogne É., Les penseurs de la désobéissance civile, 2013, 4.

[2] იქვე, 3.

[3] Dworkin R., Une question de principe, PUF, collection “Recherches politiques”, 1996.

თანამოქალაქეების პატივისცემით დასტურდება. თავისუფლება პიროვნებას ანიჭებს არა ყველაფრის კეთების უფლებას, რაც მას ესიამოვნება, არამედ სულ ცოტა იმის უფლებას, არ გააკეთოს ის, რაც მისი სინდისისთვის მიუღებელია.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ავჯანყების თუ წინააღმდეგობის ერთგვარი ფორმაა, ის განსხვავდება ავჯანყებისაგან კლასიკური გაგებით. ეს უკანასკნელი ძალადობას ძალადობასვე უპირისპირებს. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა კი უფრო დელიკატურია: ის უარყოფს, იყოს არალეგიტიმური ძალაუფლების თანამონაწილე და საკუთარი თანამშრომლობით ასაზრდოოს აღნიშნული ძალაუფლება. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის განსაზღვრისას ერთსულოვნება არ არსებობს. მაგალითისათვის, ჯონ როულზსა და იურგენ ჰაბერმასს თავიანთი განმარტებები აქვთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ. როულზის მიხედვით: **„სამოქალაქო დაუმორჩილებლობა შეიძლება განიმარტოს, როგორც საჯარო აქტი, არაძალადობრივი, ნაკარნახევი სინდისით, მაგრამ პოლიტიკური, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს და ყველაზე ხშორად მას მიმართავენ კანონში ან ხელისუფლების პოლიტიკაში ცვლილებების შესატანად. ამგვარი მოქმედებით, იგი საზოგადოების უმრავლესობის სამართლიანობის განცდას მიემართება და აცხადებს, რომ საღი აზრის მიხედვით, თავისუფალ და თანასწორ ადამიანებს შორის თანამშრომლობის სოციალური პრინციპები არ არის დაცული“.**[1] ჰაბერმასის აზრით, „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა მოიცავს უკანონო ქმედებებს, როგორც წესი, მათი კოლექტიური ავტორების გამო, რომლებიც ერთდროულად განისაზღვრება თავიანთი საჯარო და სიმბოლური ხასიათითა და პრინციპების ქონით. ეს ქმედებები, პირველ ყოვლისა, მოიცავს არაძალადობრივ საპროტესტო საშუალებებს და მოუწოდებს ხალხის განსჯის უნარსა და სამართლიანობის გრძნობას“. [2] ამასთან, მისი მტკიცებით, **აუცილებელია, რომ სამოქალაქო**

---

[1] Rawls, J., Théorie de la justice, trad. franç. de C. Audard, Paris, Seuil, 1987, 405.

[2] იხ., Habermas J. et Rawls J., Débat sur la justice politique, les Éditions du Cerf, 1997.

დაუმორჩილებლობა მიღებული იყოს, როგორც განვითარებული დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ნაწილი.[1]

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის საყოველთაოდ აღიარებული მახასიათებლებია:

1. შეგნებული და მიზანმიმართული კანონდარღვევა: სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტმა უნდა დაარღვიოს პოზიტიური სამართლის ნორმა. *თუკი დარღვევა ეხება საკამათოდ ქცეულ ნორმას პირდაპირ, მას უწოდებენ პირდაპირ დაუმორჩილებლობას.* ასე იყო, მაგალითად, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიის შემთხვევაში, რომელიც მარტინ ლუთერ კინგმა წამოიწყო და მიზნად ისახავდა შავკანიანების მიერ იმ სივრცის დაკავებას, რომელიც, კანონის თანახმად, თეთრკანიანებს ეკავათ. *მაშინ, როდესაც დარღვეული ნორმა არ არის სადავო, საუბარია არაპირდაპირ სამოქალაქო დაუმორჩილებლობაზე;*

2. საჯარო აქტი, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს – „ჩაძინებული“ უმრავლესობის გამოცოცხლება: სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტი საზოგადოებრივი განწყობით ხასიათდება და ხორციელდება, რაც მას კრიმინალური დაუმორჩილებლობისაგან განასხვავებს. სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში საჯაროობა მიზნად ისახავს აქტის მორალისტური ხასიათის შესახებ ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილებას;

3. კოლექტიური მოძრაობა: სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ერგება კოლექტიური მოძრაობის პრინციპს. ეს არის ჯგუფის აქტივობა, რომელიც წარმოადგენს აქტიურ უმცირესობას და ხასიათდება შეთანხმებული მოქმედებით. როგორც ჰანა არენდტი აღნიშნავს, *„რამდენიმე ექსცენტრული პიროვნების სუბიექტური ფილოსოფიის გაგრძელებისგან შორს, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ჯგუფის წევრთა მიზანმიმართული თანამშრომლობის შედეგია, რომლებიც მთელ თავიანთ ძალას ზუსტად ერთად მუშაობის უნარებს ახმარენ.“* **დაუმორჩილებლობა ბუნებით კოლექტიური აქტია;**

4. მშვიდობიანი საშუალებების გამოყენება: ზოგადად, დაუმორჩილებელი მშვიდობიან საშუალებებს მიმართავს. სამოქალაქო დაუმორჩი-

---

[1] იქვე.

ლებლობა საჯარო დებატებს ითხოვს და ამისათვის უფრო უმრავლესობის „მიძინებულ სინდისს“ მოუწოდებს, ვიდრე ძალადობრივ ქმედებებს. ეს მისი რევოლუციისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი თავისებურებაა, ამ უკანასკნელს კი პოტენციურად შეუძლია მიზნის მისაღწევად ძალას მიმართოს. გარდა ამისა, კანონის წინააღმდეგობა, რაც თან ახლავს სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, განპირობებულია პარადოქსული ერთგულებით კანონისადმი, რომელიც უზენაესად არის მიჩნეული. შესაბამისად, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის არსში არ არსებობს არავითარი ძალადობა. ეს უკანასკნელი არის სახელმწიფოს შედეგი, ერთადერთი რამ „ლეგიტიმური ძალადობის“ დისპოზიციით, მაქს ვებერის აზრით, ეს შეიძლება იყოს ძალადობა, არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სიმბოლურიც, ანუ ფსიქიკური, ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურად აღქმული;

5. მიზანი – ნორმის შეცვლა: სამოქალაქო დაუმორჩილებლობა მიჰყვება ინოვაციურ მიზნებს. მისი ამოცანაა, გააუქმოს ან სულ მცირე შეცვალოს სადავო ნორმა;

6. „უზენაესი“ ეთიკური პრინციპებისაკენ მოწოდება: სამოქალაქო დაუმორჩილებლობა უზენაეს პრინციპებს უპირისპირებს სადავო აქტს. ეს მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგან სწორედ ეს ფაქტი ანიჭებს მას გარკვეულ ლეგიტიმურობას. ეს უზენაესი პრინციპები შეიძლება რელიგიურიც იყოს, სასულიერო პირები ხშირად იყვნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტების წევრები და ლიდერები. მაგალითად, აშშ-ში ძმები ბერიგანები იყვნენ მღვდლები, რომლებიც ოცჯერ დააკავეს ომის საწინააღმდეგოდ მიმართული სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტებში მონაწილეობისათვის. როგორც ვხედავთ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობას აღნიშნული თვისებით, რომელიც შორსაა ინსტიტუტების დასუსტებისაგან, შეუძლია, პირიქით, გააძლიეროს ისინი მისი სადამფუძნებლო იდეალების უფრო მკაფიო გაგებითა და ნორმატიულ პროცესებში საზოგადოებრივი აზრის მეტად ჩართულობით.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ამაოა ავტორიტარულ რეჟიმში, ბევრი თეორეტიკოსი და მისი მონაწილე ამა-

ში დემოკრატიის დანამატ ღირებულებას ხედავს, რომელიც მდუმარე უმრავლესობას „ანათებს“. ეს არის დემოკრატიის აღდგენისა და ფუნ-დამენტურ პრინციპთა დაბრუნებით მისი გაძლიერების საშუალება.

თავი III. სამართლიანობა

§1. სამართლიანობის სახები

სამართალი არის მართლწესრიგისა და სამართლიანობის ხელოვნება[1]. ძველ საბერძნეთში სწამდათ, რომ სამართლიანობა დაკავშირებულია საზოგადოების წესრიგთან: მოწესრიგებული საზოგადოება ამკვიდრებს სამართლიანობას, ხოლო სამართლიანობა, თავის მხრივ, ამკვიდრებს წესრიგს საზოგადოებაში. პლატონის აზრით, **სამართლიანობა ამკვიდრებს სიკეთეს ადამიანთა შორის ურთიერთობაში, სამართლიანობა არის ძალა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს.**[2]

სამართლიანობა არის სოციალური ინსტიტუტების უმთავრესი ღირებულება. სამართლიანობის მიხედვით, კანონები და სხვა ინსტიტუციები უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს, თუ უსამართლოა, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ეფექტური ან კარგად შემუშავებულია ისინი.[3]

ლოკისთვის ბუნებითი სამართლიანობა უდგენს ზღვარს და მიმართულებას აძლევს სამოქალაქო სამართლიანობას, ბუნებით უფლებებზე მისი ორიენტირებით. რომაელების წვლილი სამართლიანობის კონცეფციის განვითარებაში მნიშვნელოვანია. **რომაული მსოფლმხედველობა სამართლიანობას უკავშირებს პიროვნების უფლებების მოცულობას. სამართლიანობა განიხილება, როგორც მუდმივი მოთხოვნა და პრეტენზია, ხელისუფლების მიერ აღიარებული და დაცული იქნას ადამიანის პირადი უფლებები.**[4]

ძირითადად განასხვავებენ სამართლიანობის ორ სახეს – **განაწილებითსა და გათანაბრებითს**, **თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ფორმალურ, საგნობრივ და სოციალურ სამართლიანობაზე.**

---

[1] ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, 11. იხ. ციტირება: დიგესტები 1.1.1.

[2] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2008, 82.

[3] < http://goo.gl/tMBpAI> [10.11.2014]

[4] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2005, 82-83.

ფორმალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ ნორმა იყოს ზოგადი და აბსტრაქტული, ის მიმართული უნდა იყოს სუბიექტთა განუსაზღვრელი წრისკენ. მოცემულ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ექცევა ნორმის შინაარსს. სამართლიანობის ეს სახე დამახასიათებელია სამართლის ნებისმიერი სისტემისთვის, რადგან სამართალს აყალიბებს სწორედ ზოგადი, აბსტრაქტული ნორმების ერთობლიობა.[1] ფორმალური სამართლიანობა ცდილობს შეინარჩუნოს თანასწორობა და აღმოფხვრას არსებული უსამართლოდ დარღვეული თანასწორობა.[2]

ფორმალური სამართლიანობისგან განსხვავდება **საგნობრივი (ინდივიდუალური) სამართლიანობა.** მის თანახმად, სამართლის ზოგადი ნორმა სამართლიანი იქნება, თუ იგი ამავდროულად იძლევა კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების საშუალებას, რადგანაც საყოველთაო, უგამონაკლისო სამართლის ნორმამ შეიძლება დიდი უსამართლობა გამოიწვიოს. სამართლიანობის აღნიშნული სახე, გარკვეულწილად, წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივ უსაფრთხოებასთან.[3]

სამართლიანობის დამოუკიდებელი სახეა **სოციალური სამართლიანობა**, რომელიც მთლიანი საზოგადოების ინსტიტუციურ წესრიგს ეხება. სოციალურ სახელმწიფოს ხშირად არასწორად განმარტავენ, როგორც სოციალური სამართლიანობის სახელმწიფოს. სამართლიანობის ცნება სუბიექტურია, როგორც სახელმწიფოს მიზანი, სოციალური სახელმწიფო ადგენს გარკვეულ მოთხოვნებს, რომელიც მიმართულია კანონმდებლისა და ზოგადად სახელმწიფოსკენ.[4] ტერმინი „სოციალური სამართლიანობა“ მიუთითებს კეთილსინდისიერებასა და საზოგადოების თანაზიარ ვალდებულებებზე. აუცილებელია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა. სოციალური სამართლიანობის ყველაზე გავლენიანი მოაზროვნე ჯონ როულზი იყო, რო-

---

[1] იხ., ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 74.

[2] Carr C.L., The Concept of Formal Justice, Philosophical Studies, Vol. 39, No. 3, 1981, 226.

[3] იხ., ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 74.

[4] იქვე.

მელიც სოციალურ თანასწორობასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის ბალანსის არსებობის იდეას ავითარებდა.[1]

[1] < http://goo.gl/dxojJ4> [10.11.2014]

§2. განაწილებითი სამართლიანობა

არისტოტელე სამართლიანობის ორ ძირითად კატეგორიას გამოჰყოფს: 1. **გათანაბრებითი სამართლიანობა**, რომელიც ეკონომიკურ სფეროში მოქალაქეების გათანასწორებას გულისხმობს და 2. **განაწილებითი სამართლიანობა** – სიკეთის განაწილება მოქალაქეთა ღირსების მიხედვით, ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად.[1]

განაწილებითი სამართლიანობა სამართლიანობის სახეა, რომელიც გარკვეულ პრივილეგიებს, მოვალეობებს, სოციალურ სიკეთეებს დამსახურებისდა მიხედვით ანაწილებს. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ფილოსოფიასა თუ სოციალურ მეცნიერებებთან. სოციალური ფსიქოლოგია განაწილებით სამართლიანობას საზღვრავს იმის მიხედვით, თუ რა დოზითაა განაწილებული ჯგუფის წევრებზე როგორც ჯილდო, ისე ხარჯი. მაგალითად, როდესაც მუშებს ერთნაირ სამუშაოზე სხვადასხვანაირად უხდიან, ჩნდება განაწილებითი უსამართლობის განცდა. მოკლედ რომ ვთქვათ, **განაწილებითი სამართლიანობის ძირითადი არსია გარკვეული სიკეთის განაწილება სამართლიანობის დარღვევის გარეშე, თუმცა მასშტაბებს სახელმწიფო ადგენს. თვითონ განაწილების პროცესში მინიმუმ სამი სუბიექტი მონაწილეობს, რომლიდანაც ერთერთი სახელმწიფოა.** თეორია ამტკიცებს, რომ საზოგადოებას გარკვეული მოვალეობები აქვს თითოეული ადამიანის მიმართ და პირიქით, ინდივიდსაც აქვს ვალდებულებები საზოგადოების მიმართ. ამ თეორიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებები, ღირსება, საერთო კეთილდღეობა წარმოუდგენელია განაწილებითი სამართლიანობის გარეშე, თუმცა, აღსანიშნავია, რომ რობერტ ნოზიკი განაწილებით სამართლიანობას უფლებად არ მოიაზრებს.

იერარქიულ სტრუქტურებში, განაწილებითი სამართლიანობა შეიძლება გამოვიყენოთ მოთხოვნილების, შეტანილი წვლილის ან თანასწორობის მიხედვით.

ფორსიშმა გამოყო განაწილებითი სამართლიანობის ხუთი მასშტაბი:

---

[1] მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ., პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია (ლექციების კურსი), თბილისი, 1997, 41-42.

1. **მიუკერძოებლობა** – ჯგუფის წევრების შემოსავალი თავიანთი შრომის ადეკვატური უნდა იყოს. მაგალითად, თუ რომელიმემ დიდი ინვესტიცია გააკეთა (ვთქვათ: დრო, ცოტა ფული, წევრები, ენერგია...), იმაზე მეტი ეკუთვნის, ვინც არსებულ კაპიტალს ჯერდება და ნაკლები იშრომა. ეს პრინციპი უკავშირდება ჯონ როულზს. ის ამტკიცებდა, რომ დიდი სოციალური განაწილება მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუ აკმაყოფილებს ორ პირობას: ა) ყველა ადამიანს აქვს თანაბარი, სრულიად ადეკვატური პრეტენზია ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე (მაგ. სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობის და ა.შ.), ბ) ნებისმიერი სოციალური უთანასწორობა, როგორიცაა შემოსავლებში სხვაობა დაკავშირებულია იმ პოზიციებთან და ოფისებთან (სამუშაო ადგილებთან), რომლებიც თანაბარი შესაძლებობების პირობებშია მიღწევადი და ასე თუ ისე კარგად შემოსავლიანია;

2. **თანასწორობა** – ყველა მხარეს მოუწოდებს თანაბარი წილის მიღებასა და სამუშაოს გაწევას, ანუ საშუალების მიუხედავად, ჯგუფის წევრებს თანაბარი ჯილდოები/შეღავათები თუ ხარჯები უნდა ჰქონდეთ. ეს პრინციპი, ასევე, ნიშნავს თანაბარ უფლებებს, შემოსავლებს, სოციალურ მომსახურებებს და ა.შ. თანასწორობა მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ის, ვინც 20%-ით დაეხმარა ჯგუფის რესურსს, იმდენივე უნდა მიეცეს, რამდენიც 60%-ით წვლილის შემტანს;

3. **ძალაუფლება** – მეტი ძალაუფლების, სტატუსის, კონტროლის ჯგუფებს ქვემდგომებზე მეტი ეკუთვნით;

4. **საჭიროება** – არსებული რესურსი ყველა ადამიანს თანაბარ პირობებში აყენებს, თითოეულს ეკუთვნის მოთხოვნილების შესაბამისად და იერარქია სრულიად უგულებელყოფილია. მაშასადამე, წვლილის შენატანის მოუხედავად, მეტი უნდა მოხმარდეს მას, ვისაც ჭირდება.

5. **პასუხისმგებლობა** – ჯგუფის წევრები, ვისაც ყველაზე ბევრი აქვს, ვალდებულნი არიან გაუნაწილონ რესურსები მათ, ვისაც ის თითქმის არ გააჩნია.[1]

განაწილებითი სამართლიანობის გათანაბრებაზე საკუთარი პოზიცია აქვს არისტოტელეს. მისი აზრით, სამართლიანობა „არის სიკეთის გა-

[1]<http://goo.gl/QsMt9b> [10.03.2014], < http://goo.gl/XsQmu8> [10.03.2014]

ნაწილება მოქალაქეთა ღირსების მიხედვით, ინდივიდთა თავისებურებების შესაბამისად". *თანასწორობის საზომია გეომეტრიული პროპორციულობა, რაც ნიშნავს, რომ სიკეთე სუბიექტის მოთხოვნილების შესაბამისად უნდა განაწილდეს.* დღეისათვის, მთავარი „გამნაწილებელი" მაინც სახელმწიფოა, ის ცდილობს სოციალური განსხვავებების გათანაბრებას სხვადასხვა გზით, მაგალითისთვის გამოდგება გარკვეული შეღავათების დადგენა მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის, სტუდენტების, სოციალურად დაუცველი პირებისთვის. **განაწილებითი სამართლიანობა გარკვეულ ნორმატიულ ჩარჩოშია ჩასმული, შინაგანაწესიდან დაწყებული, საკონსტიტუციო კონტროლით დამთავრებული.**[1]

განაწილებით სამართლიანობაზე საუბარი ჯონ როულზისეული სამართლიანობის გარეშე არასრულყოფილი იქნება. **როულზი მიიჩნევდა, რომ სამართლიანობა არის ადამიანის მუშაობის ნაყოფის იმგვარი გადანაწილება, რომ თავი დაჩაგრულად, უსამართლოდ არავინ იგრძნოს.** მაშასადამე, აუცილებელია სამართლიანობის კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც სამართლიანობის ძირითად პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამგვარი სამართლიანი შეთანხმება ჰიპოთეტურ ხასიათს უნდა ატარებდეს, რადგან ის კონკრეტული ინტერესებიდან, რაციონალური ინდივიდების მიერ უნდა იყოს მიღწეული. როულზის აზრით, სამართლიანობის ძირითად კრიტერიუმად „რეფლექსური წონასწორობის" მეთოდი გამოიყენება, რაც ნიშნავს გარკვეულ მოვლენებზე დასკვნების გამოტანას და მათ შესაბამისობას ეთიკასა და მორალთან; ანუ აზრის ჩამოყალიბება, ფორმირება ხდება იქამდე, სანამ ის არ მივა ძირითად, ზნეობრივ წერტილთან და გაწონასწორდება. **როულზი მკვეთრად ეწინააღმდეგება გათანაბრების თეორიას და ამბობს, რომ საყოველთაო თანასწორობა შეუძლებელია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ არცერთი ადამიანი თავს არ მიიჩნევს სხვის თანასწორად.**

---

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 72; < http://goo.gl/oksa5J> [10.03.2014];

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განაწილებით სამართლიანობას მხოლოდ თეორიული ფასეულობები არ აქვს და საკმაოდ ფართოდ გამოიყენება პრაქტიკული მნიშვნელობითაც. ცნობილია მრავალი მთავრობა, რომლებმაც სადაო საკითხები განაწილებითი სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით გადაჭრა. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებს ეხება, სადაც ეთნიკური დაძაბულობა და გეოგრაფიულად გამორჩეული უმცირესობების კონფლიქტები პიკს აღწევს (მაგალითად, პოსტ აპარტეიდული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

§3. გათანაბრებითი სამართლიანობა

განაწილებითი სამართლიანობისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს საზოგადოების ღირებულებებსა და მათს ინდივიდუალურ დამსახურებებზე აკეთებს, **გათანაბრებითი სამართლიანობა მუდმივად გარკვეული საგნების თანაფარდობაზეა დამყარებული.** გათანაბრებითი სამართლიანობა შლის ინდივიდუალიზმისთვის დამახასიათებელ სხვაობებს და ყველას თანაბარ წილს აძლევს. *გათანაბრება ეფუძნება პრინციპს – თუ ორი ტოლია, მაშასადამე მესამეც ტოლია.* **გათანაბრებითი სამართლიანობის დარღვევაა, როდესაც ერთი ადამიანი იპარავს მეორეს კუთვნილ ნივთს.**[1]

როდესაც პირმა რაიმე ნივთისთვის გაიღო ათასამდე ლარის ოდენობის ხარჯი, იგულისხმება, რომ ის სულ ცოტა იმავეს ამოღებას გეგმავს ამ ობიექტიდან, ხოლო თუ ნივთი დაუზიანეს, გათანაბრებითი სამართლიანობის დასაბალანსებლად აუცილებელია ზიანის ანაზღაურება. **გათანაბრებითი სამართლიანობა არის ძალა, რომელიც აწესრიგებს ერთის ინდივიდუალურს მეორეს ინდივიდუალურთან.**

გათანაბრებითი სამართლიანობა მკვეთრად განსხვავდება სამართლიანობის სხვა გაგებისგან, მაგალითად, განაწილებითი სამართლიანობისგან, რომელიც აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ რა ეკუთვნის პიროვნებას საერთო საზოგადო ღირებულებებიდან.[2] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობები, როცა სახელმწიფო არ აწესებს გარკვეულ მკაცრ საზღვრებს და ბაზარი თავისუფალია, ხელისუფლებას ევალება მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი კუთხის მოწესრიგება და გათანაბრებითი თანასწორობის დაცვა, ანუ უსამართლობის თავიდან აცილება, თანაბარ პირობებში ჩაყენება, კანონის მიმართ თანასწორობა, მოქმედებს მიწოდება-მოთხოვნაზე ჩამოყალიბებული მექანიზმი და არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი, როგორც განაწილებითში.[3] გათანაბრებითი სამართლიანობის აშკარა მაგალითია კონტრაჰირების

---

[1] <https://goo.gl/eDb3rk> 12.03.2014

[2] < http://goo.gl/5TFlem> [12.03.2014]

[3] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2014, 73-74.

იძულების პრინციპი, როცა კანონი ავალდებულებს მონოპოლიზებულ მწარმოებელს თანაბარ პირობებში ჩააყენოს მომხმარებლები, არ გამოიყენოს თავისი უკონკურენტო მდგომარეობა და არ შესთავაზოს უზომოდ მაღალი ფასები მომხარებელს, უსაფუძვლოდ არ უთხრას უარი პროდუქციის მიყიდვაზე და ხარისხიანად შეასულოს ვალდებული სამუშაო.

გათანაბრებითი სამართლიანობის არსის უკეთ გასაგებად არისტოტელე აყალიბებს არითმეტიკულ პროპორციულობას. გათანაბრებითი სამართლიანობა კი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველია, მაგალითად, მყიდველი ნივთის სანაცვლოს ვალდებულია გადაიხადოს საფასური.[1] მოსამართლე ვალდებულია დაზარალებულს ზიანის სანაცვლოდ შესაბამისი ანაზღაურება გადასცეს, რომელიც საერთოდ არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასჯელს. არისტოტელე მიიჩნევს, რომ სამართლის საშუალებით მდგომარეობით გათანაბრების დროს, მოსამართლემ უნდა ისარგებლოს არითმეტიკული პროპორციულობით: დავუშვათ, რომ ორი მხარე – A და B თანასწორნი არიან. თუ A უსამართლოდ მიიღებს C-ს B-ს გან, ისინი იქნებიან A+C და შესაბამისად – B-C. მოსამართლე ასრულებს არბიტრის ფუნქციას, ბალანსის დადგენას ახდენს C-ს A-სგან აღებით, რათა C გადასცეს B-ს.[2]

შესაძლებელია ითქვას, რომ თანასწორობის კონკრეტული ფორმულა არ არსებობს, სრული ცნების ჩამოყალიბება მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი, თუმცა სამართლიანობა სამართლის ძირითადი და უმთავრესი პრინციპია. გათანაბრებითი სამართლიანობა დასაბამს ღმერთის წინაშე თანასწორობის იდეიდან იღებს, რაც შემდგომ ნორმებშიც აისახა. ნორმატიული გათანაბრებითი სამართლიანობა კი შედარებით გვიან, აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში ჩამოყალიბდა. **სამართლებრივად, გათანაბრებითი სამართლიანობა საყოველთაო პრინციპია, ის, ასევე, კონსტიტუციური ნორმაა, რომელიც კრძალავს ადამიანთა დისკრიმინაციას გარკვეული ნიშნების მიხედვით. გათანაბრებითი**

---

[1] იქვე, 73.

[2] <http://goo.gl/rzj0uQ> [11.03.2014]

სამართლიანობის ნორმატიული გაგება, ასევე, გულისხმობს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და წოდებრივი სტრუქტურა სრულიად უგულებელყოფილია. კანონით მხოლოდ გარკვეული უთანასწორობა იკრძალება. პირველად აიკრძალა უთანასწორობა წარმოშობისა და კუთვნილების ნიშნით, თუმცა **კანონმდებელი არ ისწრაფვის ტოტალური თანასწორობისკენ**, აქ ძირითადად იგულისხმება თანასწორობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში.

სახელმწიფო ებრძვის ადამიანთა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ნიშნების მიხედვით უთანასწორობას, ასევე, ხელს უწყობს გარკვეულ ჯგუფებს (მაგალითად, რელიგიურ უმცირესობებს) და უკეთებს შეღავათებს, რაც არ არღვევს გათანაბრებითი სამართლიანობის პრინციპს და ეს გათანაბრებითი სამართლიანობის ერთგვარ პარადოქსადაც კი მოიხსენიება. კანონმდებელი უზრუნველყოფს ფორმალურ სამართლიანობას თანასწორობის კუთხით, ხოლო ფაქტობრივი თანასწორობა კვლავ პრობლემად რჩება.[1]

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 75-77.

§4. უტილიტარიზმი

უტილიტარიზმის (*utilitas* – მოგება, გამორჩენა, სარგებელი) თეორია მე-18 საუკუნეში შეიქმნა. მისი ავტორი და ფუძემდებელია ჯერემი ბენტამი. 1789 წელს ბენტამმა გამოსცა ნაშრომი – „შესავალი მორალისა და სამართლის პრინციპების შესახებ“, სადაც აცხადებს, რომ ბუნებამ განსაზღვრა კაცობრიობის ე.წ. ორი სუვერენული მმართველი, – ტკივილისა და სიამოვნების სახით, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რისი გაკეთება გვევალება და რა შეიძლება გავაკეთოთ. ტკივილი და სიამოვნება მართავს ადამიანის ქმედებებს (მათ ფიქრებს, მოქმედებებს). [1] **უტილიტარიზმის თანახმად, საუკეთესოდ მიიჩნევა ის კანონები და ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს რაც შეიძლება მეტი მოქალაქის ბედნიერ ცხოვრებას.[2] მოქმედების სწორი კურსის არჩევა მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა, რომ ეს მოქმედება საერთო „სიკეთის“ მომტანი იქნება. მოქმედების მორალური ღირებულება მისი შედეგით განისაზღვრება.**

ბენტამისათვის სამართლანობა არის „მაქსიმალურად დიდი კეთილდღეობა მაქსიმალურად ბევრი ადამიანისათვის“[3]. უტილიტარიზმის თანახმად, *საყოველთაო კეთილდღეობის იდეას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ინდივიდუალურ მოთხოვნილებასთან მიმართებით. ქცევას და ნორმას ბენტამი აფასებს მათი სარგებლიანობის, მოთხოვნილებისა და ინტერესის დაკმაყოფილების მიხედვით.*[4]

უტილიტარიზმის თეორია ბენტამის შემდეგ განავითარა ჯონ სტიუარტ მილმა. მილი, როგორც ბენტამი, *უტილიტარიზმის ფუნდამენტალურ პრინციპად მიიჩნევს სარგებელს, დიდ კეთილდღეობას.* **იგი**

---

[1] Payne Seth R., Utilitarianism as Secondary Ethic, Yale Divinity School, December 30, 2006, 2.

[2] შოშიტაშვილი ნ., ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტრევოლუციურ (2003-2009) საქართველოში, თბილისი, 2010, 37.

[3] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 82.

[4] იქვე.

უპირატესობას ანიჭებს იმ ქმედებებს, რომელთაგანაც პროპორციულად ბევრი სარგებლისა და ბედნიერების მიღებაა შესაძლებელი.[1]

ტერმინი „უტილიტარიზმი“ გამოიყენება იმ შეზღუდული და ყოველდღიური აზრით, რომლის მიხედვითაც, სარგებელი სიამოვნებას უპირისპირდება. ყოველი ავტორი, რომელიც სარგებლიანობის თეორიას იცავდა (მათ შორის, ბენტამიც), მასში გულისხმობდა არა რაღაც ისეთს, რაც სიამოვნებისგან უნდა განვასხვაოთ და მას დავუპირისპიროთ, არამედ თავად სიამოვნებას, ტკივილისგან თავისუფლებასთან ერთად და სასარგებლოს სასიამოვნოსთან ან ლამაზთან დაპირისპირების ნაცვლად, ყოველთვის აცხადებდა რომ სასარგებლო, სხვა რამეებს შორის, ამ უკანასკნელსაც გულისხმობს.

მრწამსი, რომელიც ზნეობის საფუძვლად სარგებლიანობას, უდიდესი ბედნიერების პრინციპს აღიარებს, გვასწავლის, რომ ქმედებები კარგია იმის პროპორციულად, თუ რამდენად უწყობს ისინი ხელს ბედნიერებას და ცუდია იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ ბედნერების საწინააღმდეგოს გამოწვევის მიდრეკილება. ბედნიერებაში იგულისხმება სიამოვნება და ტკივილის არარსებობა, უბედურებაში – ტკივილი და სიამოვნების ნაკლებობა.[2]

ბენტამის თეორიას იმთავითვე კრიტიკა ხვდა წილად. უტილიტარიზმს საკმაოდ თავშეკავებულად შეხვდნენ გერმანიაში, სადაც იგი განიხილებოდა, როგორც ნორმასა და ქცევის შედეგზე ორიენტირებული ეთიკა. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში უტილიტარიზმს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ეს თეორია აქცენტს აკეთებდა საერთო სარგებლიანობის იდეაზე.[3] თანამედროვე სოციოლოგიაში უტილიტარიზმის პრინციპებმა გამოყენება ვერ ჰპოვა.[4]

---

[1] იხ., Payne Seth R., Utilitarianism as Secondary Ethic, Yale Divinity School, December 30, 2006, 11.

[2] მილი ჯ.ს., თავისუფლების შესახებ, უტილიტარიზმი, თბილისი, 2004.

[3] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 82.

[4] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2004, 305-306.

§5. სამართლის ეკონომიკური ანალიზი

სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს, ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ჰობსის საკუთრების შესახებ დისკუსიიდან მოყოლებული. ბოლო პერიოდში ყუდადღება მახვილდება სამართლებრივ სფეროზე, განსაკუთრებით ანტიმონოპოლიურ და საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულებებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კონკურენციასა და მონოპოლიას. ინგლისელმა და ამერიკელმა ეკონომისტებმა ამ საკითხებზე აქტიური მსჯელობა 1930 წლიდან დაიწყეს.[1]

სამართლის ეკონომიკური ანალიზი, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით კი 80-იან წლებში განვითარდა. თანამედროვე პერიოდში სამართლის ეკონომიკური ანალიზი მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის მიმართულებას.[2]

ეკონომიკა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ისეთი ცნებების გარეშე, როგორიცაა ფული, ინფლაცია, უმუშევრობა, ბირჟა, წარმოუდგენელია ცხოვრება. *ეკონომიკა არის სოციალური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას.*[3]

სამართლის ეკონომიკურ ანალიზს ორი მთავარი ფუნქცია აქვს. პირველი არის კანონის გამარტივება გაგებისა და შეფასებისთვის, ხოლო მეორე ბიძგი იმისა, რომ დაიცვა შენი უფლება.[4] სამართლის ეკონომიკური ანალიზი აქტუალურია არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ ევროპაშიც. **ის ცდილობს ახსნას და წინასწარ განჭვრიტოს სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა ქცევა.** ის, ასევე, ცდილობს, გაუმჯობესოს სამართალი იმ თვალსა-

---

[1] Posner R.A., Values and consequences: An Introduction to Economic Analysis of Law, John M. Olin Law & Economics Working Paper No. 53, 1.

[2] იხ., ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 111.

[3] იხ., შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი 2011, 254.

[4] Posner R.A., Values and consequences: An Introduction to Economic Analysis of Law, John M. Olin Law & Economics Working Paper No. 53, 1.

ზრისით, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ნორმის მოქმედებას.[1]

სამართლის ეკონომიკური ანალიზი არკვევს, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სამართალმა თავისუფალი ბაზრის ნორმალური ფუნქციონირება.[2] იგი სამართლის ნორმის ამოწმებს მისი გამოყენების ეკონომიკურ ხასიათით. კრიმინოლოგიური კუთხით კი მისი კვლევის საგანია, თუ რამდენადაა შესაძლებელი სანქციის მიზნები, დანაშაულთან ბრძოლა და ზოგადად, მართლმსაჯულება განხორციელდეს მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით.[3]

სამართლის ეკონომიკური ანალიზის მიზანია, მინიმალური დანახარჯით მაქსიმალური შედეგის მიღწევა.[4] განვიხილოთ შემთხვევა: ადამიანები იტანჯებიან თირკმლის სერიოზული დაავადებით, თირკმლის ტრანსპლანტაცია კი ამ დაავადებასთან ბრძოლის ეფექტური ალტერნატივაა. თუმცა ეს ყოველივე საკმაოდ ძვირია. ყველაფერი კი დაკავშირებულია ხელმიუწვდომლობასთან, რადგან აკრძალულია ორგანოებით ვაჭრობა. ჯანმრთელი ადამიანისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ამ ორგანოს გაყიდვა, რადგან მეორე თირკმელიც ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელიც ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელია. აღნიშნული ოპერაცია, ასევე, დაბალი რისკით ხასიათდება. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ დასაშვები და ხელმისაწვდომი გახდება თირკმლის ინპლანტაცია, ადამიანები, რომლებიც ჯანმრთელები არიან გაყიდიან მას. მის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება ხელმისაწვდომობა.[5]

სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს „რა ღირს კანონი", რა ფინანსურ და მატერიალურ დანახარჯებთან იქნება კანონის მიღება და მისი რეალიზაცია. იგი ადგენს თუ 1. როგორ უნდა მოიქცეს ეკონომიკური სუბიექტი იმ პირობებში, როდესაც მისი მოქმედების თავი-

---

[1] იქვე, 2.

[2] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 111.

[3] იხ., შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, 254.

[4] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 83.

[5] იხ, Posner R., Utilitarianism, Economics, and Legal Theory, Journal of Legal Studies, No. 8, 1979, 138-139.

სუფლება განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებშია მოქცეული და 2. რა ეკონომიკური შედეგები ექნება ამ ქცევას.[1]

შეიძლება ითქვას, რომ **სამართლის ეკონომიკური ანალიზი მიზნად ისახავს ნორმის გამოყენების ხარჯების დადგენას, რათა მაქსიმალურად ნაკლები ხარჯებით იქნას მიღწეული ნორმის მიზანი**, ხოლო დანაშაულებრივი ქცევის ანალიზისადმი ეკონომიკური მიდგომა ყურადღებას დანაშაულიდან მოსალოდნელ ხარჯებსა და სარგებელზე ამახვილებს.[2]

სამართლის ეკონომიკური ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, სამართლის ეკონომიკური თეორიაა. მას ბევრი მიმომხილველი და არაეკონომისტი სკეპტიკურად აღიქვამს.[3]

---

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 112.

[2] იხ., შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, 257.

[3] Kaplow L., Shavell S., Economic Analysis of Law, in: Handbook of Public Economics, Vol. 3, edited by Alan J. Auerbach and Martin Feldstein, Elsevier, 2002, 1761.

§6. როულზის სამართლიანობის თეორია

ჯონ როულზმა თავის ნაშრომში (*A Theory of Justice*) განავითარა ბენტამინისა და მილის შეხედულებები სოციალური ხელშეკრულებაზე დაყრდნობით.[1] მისი მიზანი იყო წარმოეჩინა სამართლიანობის კონცეფცია, რომლის საფუძველი არის სოციალური ხელშეკრულების არსის განზოგადება და მისი აბსტრაქციის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაა. ამისათვის სოციალური ხელშეკრულება არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ კონკრეტული საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბების ან კონკრეტული მმართველობის ფორმის შექმნის საშუალება.

სამართლიანობის პრინციპების სახელმძღვანელო იდეა არის ის, რომ **ძირითადი საზოგადოებრივი წყობილებისათვის სამართლიანობის პრინციპები არის თავდაპირველი (ნამდვილი) შეთანხმების ობიექტი.** *ეს პრინციპები განსაზღვრავს საზოგადოების ძირითად ნორმებს ინდივიდების ინტერესებისა და თანასწორუფლებიანობის თავდაპირველ საზრისთან შეფარდებითა და შეთანხმებით.* მოცემული პრინციპები აწესრიგებენ ყველა დამატებით შეთანხმებას; ისინი განსაზღვრავენ საზოგადოებრივი წყობილების სახესა და მმართველობის ფორმას. **სამართლიანობის პრინციპების ამგვარი განხილვის გამო როულზმა მას სამართლიანი სამართალი უწოდა.** სამართლიან სამართალში თანასწორუფლებიანობის ძირითადი იდეა შეესაბამება სოციალური ხელშეკრულების თეორიას.[2]

როულზი აყალიბებს ადამიანთა საწყისი მდგომარეობის ფიქციურ სიტუაციას, როდესაც ინდივიდებმა უნდა განსაზღვრონ მომავალი საზოგადოებრივი წესრიგი.[3] ადამიანებს არ შეუძლიათ სრულად დაადგინონ მათი შესაძლებლობები, როლი და ადგილი საზოგადოებაში.[4] **არცოდნის მდგომარეობა ადამიანებს უბიძგებს, რომ აბსტრაჰირებულნი იყვნენ საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილებებისაგან. სწორედ**

---

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 80.
[2] <http://goo.gl/zfSQvD> [19.03.2014]
[3] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 80.
[4] <http://goo.gl/zfSQvD> [19.03.2014]

ასეთ მდგომარეობაში მიღებული პრინციპები იქნება სამართლიანი.[1] ამ დროს არავის შეუძლია ჩამოაყალიბოს პრინციპები თავისი კერძო ინტერესების სასარგებლოდ. **ამიტომ სამართლიანობის პრინციპები არის სამართლიანი შეთანხმების შედეგი.**[2] ეს პრინციპები, პირველ ყოვლისა, ეხება ძირითად სოციალურ წყობას. ისინი აწესრიგებენ უფლებისა და ვალდებულებების გადაცემას, სოციალური და ეკონომიკური სიკეთეების გადანაწილებას. მოცემული ფორმულირების თანახმად, საზოგადოებრივი წყობილება შეიძლება დაიყოს მეტ-ნაკლებად ორ განსხვავებულ ნაწილად. განასხვავებენ სოციალური სისტემის იმ ასპექტებს, რომლებიც განსაზღვრავენ და იცავენ მოქალაქეების თანაბარ უფლებებს, ასევე, იმ ელემენტებს, რომლებიც ადგენენ სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას.[3]

როულზი გამოყოფს სამართლიანობის ორ პრინციპს: 1. თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები ძირითადი თავისუფლების სისტემიდან; 2. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა უნდა ემსახურებოდეს ყველა ადამიანის კეთილდღეობას და დაკავშირებული უნდა იყოს ყველასათვის ხელმწისაწვდომ სოციალურ სტატუსთან.[4]

პირველი პრინციპი აღიარებს მხოლოდ "ceteris paribus" (ლათ. ყველაფერი თანაბარი).[5] მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა მოიცავს პოლიტიკურ უფლებებს (არჩევნებში მონაწილეობისა და საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება); სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას; რწმენისა და აზრის თავისუფლებას; საკუთრების უფლებას; თავისუფლების ხელშეუხებლობასა და საკუთრების უკანონო ჩამორთმევის აკრძალვას. პირველი პრინციპის თანახმად, მოქალაქეებს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ.[6]

---

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 80.
[2] <http://goo.gl/zfSQvD> [19.03.2014]
[3] იქვე.
[4] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 80.
[5] Rawls J., Justice as Fairness, The Journal of Philosophy, Vol. 54, No. 22, 1957, 655.
[6] <http://goo.gl/zfSQvD> [19.03.2014]

მეორე პრინციპი განსაზღვრავს, თუ რა სახის უთანასწორობაა დასაშვები. უთანასწორობა სამსახურსა და თანამდებობებს შორის არ არის გაგებული უარყოფითად, სტრუქტურული განსხვავებულობა არ წარმოშობს დავას (საზოგადოება არ აპროტესტებს სხვადასხვა სამსახურს, როგორიცაა პრეზიდენტის ადმინიტრაცია, სასამართლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და ა.შ.). პრივილეგიებსა და პასუხისმგებლობაში განსხვავება ეხება მათ პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მაგალითად, სახელი და ქონება, ან გადასახადების გადახდის ვალდებულება და სასჯელის მოხდა. **უთანასწორობა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ყველა მხარეს სარგებელს მოუტანს.** მსგავსი უთანასწორობის გასამართლებლად, პირველ ყოვლისა, უნდა არსებობდეს მტკიცებულება, რომ იგი საერთო აზრს ემსახურება და უნდა ეფუძნებოდეს საერთო ცოდნასა და რწმენას. ეს პრინციპი არ არის შემხებლობაში ტექნოლოგიურ თუ მეტაფიზიკურ უთანასწორობასთან (მაგალითად, რელიგიურ საწყისზე დაფუძნებული უთანასწორობა კასტებს შორის), რადგან ეს უკანასკნელი ეფუძნება საერთო რწმენას და აღიარებულია იმ პირების მიერ, რომლებსაც აღნიშნული უთანასწორობა ეხება. **უთანასწორობა უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას.** მას შემდეგ, რაც ეს პრინციპი პრაქტიკაში იქნება გამოყენებული, ივარაუდება, რომ ნებისმიერი სამსახურისა თუ თანამდებობის მქონე პირი, ასეთი უთანასწორობის ობიექტად ყოფნის დროს, უნდა მიიჩნევდეს, რომ ეს არის სასარგებლო. **ასეთი უთანასწორობა უმჯობესია მისი არსებული და მომავალი ცხოვრების პირობებისათვის.** *სხვადასხვა სამსახურში მუშაობა უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი.* მაგალითად, კონკურსის წესით მოსამსახურე პერსონალის აყვანა სამსახურში.[1]

სამართლიანობის პრინციპების თანახმად, სამართლებრივი სისტემის ძირითადი იდეა სამართლიანობის კონცეფციაშია, რომელიც შემხებლობაშია იმ ადამიანებს შორის სწორ ურთიერთქცევასთან, რომლებიც თანამშრომლობენ ან ერთმანეთის კონკურენტები არიან. სამართლიანობის შესახებ კითხვა აქტუალური ხდება, როცა თავისუფალი პირები,

[1] Rawls J., Justice as Fairness, The Journal of Philosophy, Vol. 54, No. 22, 1957, 655.

რომლებსაც არ გააჩნიათ ძალაუფლება სხვების მიმართ, არიან დაკავებულნი საერთო აქტივობებით და თავიანთ შორის ადგენენ ან აღიარებენ წესებს, რომელიც სარგებლისა და ვალდებულების სათანადო წილებს განსაზღვრავს.[1]

როულზის შეხედულებით, არსებული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უპირატესად სამართლიანობის პირველ და შემდეგ მეორე პრინციპთან. **ეკონომიკური სიკეთეების გადანაწილება და ძალაუფლების იერარქიულობა თანხმობაში უნდა იყოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობასა და თანაბარ შესაძლებლობებთან.**[2]

---

[1] იქვე, 657.

[2] <http://goo.gl/zfSQvD> [19.03.2014]